პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ.(ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
შაბათი,
20
აპრილი
1935 წ.
№ 93 (4249)

დღეს ნომერში

- — მივაღწიოთ სასწრაფო გარდატეხას თესვაში (მეთაური).
- — საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტი საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ.
- — ჩაის საგაზაფხულო სამუშაოები 15 აპრილისათვის.
- — ამხ. ლიტვინოვის სიტყვა ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე
- — უცხოეთის პრესის გამოხმაურება ამხ. ლიტვინოვის სიტყვაზე.
- — სოფლის რაიკომის მუშაობის სტილი („პრავდის" მოწინავე).
- — საფრანგეთის პრესა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმების შესახებ.
- — ლავალის განცხადება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმების გამო.
- — დ. სალაყაია — შევინარჩუნოთ [illegible] (მე-2 გვ.).
- — თ. კუნჭულია—რამი (მე-3 გვ.).

მივაღწიოთ სასწრაფო გარდატეხას თესვაში

წელს ჩვენ გვქონდა და გვაქვს ყველა პირობა იმისათვის, რომ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ყველა ძირითადი სამუშაოები გავშალოთ უფრო ორგანიზებულად და დავამთავროთ უფრო მოკლე ვადაში, ვინემ შარშან. წელს ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სამეურნეო - ორგანიზაციულად და პოლიტიკურად უფრო გამაგრებულნი არიან, ვინემ გასულ წლებში. წელს საქართველოში გარდა იმისა, რომ მოეწყო ახალი სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, არსებულ მტს-ებს პარკს შემატა თვალსაჩინო რაოდენობის მექანიკური წევის ძალა და მისაბმელი ინვენტარი. სარემონტო სახელოსნოები ზამთარსა და მიმდინარე გაზაფხულზე მუშაობდენ გაცილებით უკეთ, ვიდრე წარსულში. ტექნიკური და სპეციალური კადრები საქართველოს სოფლის მეურნეობაში წელს გაცილებით უფრო მეტია, ვინემ წინად.

და აი, მიუხედავად ყოველივე ამისა ჩვენ საქმე გვაქვს ასეთ ფაქტთან: როგორც საგაზაფხულო ხვნა, ისე სათესლე მასალის მომზადება და თესვა წელს მიმდინარეობს გაცილებით უფრო სუსტად, ვინემ შარშან. წელს 15 აპრილისათვის მთელ რესპუბლიკაში შესრულებული იყო ხვნის გეგმა 46,9 ხოლო თესვის 19,8 პროცენტით მაშინ, როდესაც ამავე რიცხვისათვის გასულ წელს ხვნის გეგმა შესრულებული იყო 53,3 და თესვის 27,7 პროცენტით.

გარდა ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის, დუშეთის, ყაზბეგის რაიონებისა, აგრეთვე ლანჩხუთისა და სამტრედიის რაიონების დაბლობი ადგილებისა საგაზაფხულო კულტურების ხვნის ვადები უკვე ამოიწურა. გეგმა კი, როგორც ზევით მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, სანახევროდაც არ არის შესრულებული.

როგორც „კომუნისტის" დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებულ ცნობებიდან ჩანს აპრილის მესამე ხუთდღიურმა ხვნის დავალებათა შესრულების მხრივ მოგვცა ტემპების გაუარესება წინა ხუთდღიურთან შედარებით. აპრილის მეორე ხუთდღიურში მოიხნა 47 ათასი ჰექტარი, უკანასკნელ ხუთდღიურში კი ყველა სექტორის ხაზით მოხნული ფართობი არ აღემატება 40.585 ჰექტარს და ეს მაშინ, როდესაც ავდრებს სერიოზულად თითქმის არსად არ შეუფერხებია მინდვრის სამუშაოები.

საგაზაფხულო - სასოფლო - სამეურნეო კამპანიის დავალებათა შესრულებაში ეს **საგანგაშო ჩამორჩენა** გამოწვეულია იმით, რომ ბევრგან ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და რაიმიწგანებმა მოადუნეს ყურადღება და შეანელეს ბრძოლა საგაზაფხულო კამპანიის გეგმების შესრულებისადმი. ასეა, მაგალითად, ადიგენის, ასპინძის, გორის, ყვარელის, ბორჩალოს და საგარეჯოს რაიონებში, სადაც ჩაშლის საფრთხეშია ნიადაგის მომზადება და თითქმის ყველა საგაზაფხულო კულტურების თესვა. ასეა ზესტაფონის, ჭიათურის, ხარაგოულის, ენუქიძის და ჩოხატაურის რაიონებში, სადაც მინდვრის სამუშაოთა მიმდინარეობას უკანასკნელ ხუთდღიურში თითქმის არავითარი გაუმჯობესება არ ეტყობა.

მკვეთრად არის ჩამორჩენილი აგრეთვე ბალახების, ბოსტნეულის და კარტოფილის თესვა. აქ აღსანიშნავი ის არის, რომ ბალახების თესვა ყველაზე უფრო ჩამორჩენილია მეცხოველეობის ისეთ ძირითად რაიონებში, როგორიცაა წალკა, ბაშკიჩეთი, თიანეთი, ლიუქსემბურგი, ახალქალაქი, დუშეთი და ბოგდანოვკა, აგრეთვე სამხრეთ ოსეთი.

ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ რაიონების ხელმძღვანელი ორგანიზაციები სათანადოთ ვერ აფასებენ მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობისათვის მტკიცე საკვებ ბაზის შექმნის უდიდეს მნიშვნელობას.

სერიოზული გარღვევა საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიაში მოწმობს, რომ მთელი რიგი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები და მიწგანები ისევ აგრძელებენ მორიგეობის პრაქტიკას სხვადასხვა სამუშაოთა შესრულებაში. ნაცვლად ბოლშევიკური სიფხიზლისა მინდვრის სამუშაოებისადმი კონკრეტულ - ოპერატიული ხელმძღვანელობისა ბევრგან ადგილი აქვს თვითდინებაზე მინდობას და ეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გაზაფხულის დასაწყისში არახელსაყრელი ამინდების გამო, საჭირო იყო კიდევ უფრო მაღალი ტემპების აღება ხვნა-თესვის დამთავრებისათვის მოკლე ვადაში.

სასოფლო - სამეურნეო არტელის ახალი წესდების დამუშავება-მიღებას კოლმეურნეობებში უნდა გამოეწვია და კიდევაც გამოიწვია შრომითი ენტუზიაზმის ზრდა. ამავე დროს არიან რაიონებისა და სოფლების მუშაკები, რომლებიც ხვნა-თესვაში ჩამორჩენას კოლმეურნეობათა ახალი წესდების დამუშავებით ხსნიან. ამ დამუშავებამ დაგვაბანდა და დრო აღარ დაგვრჩაო. მაშინ როდესაც ეს მათ ვერ დაუკავშირეს წესდების განხილვა - მიღება თესვის წარმატებით ჩატარების კონკრეტულ ამოცანებს.

საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიაზე უხეირო ხელმძღვანელობის თვალსაჩინო ილუსტრაციას იძლევა სამარცხვინო ჩამორჩენა **სათესლე მასალის გაწმენდასა და შეწამვლაში.** დღემდე სათესლე მასალის შეწამვლის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 22,4 პროცენტით და ეს მაშინ, როდესაც მარცვლეული კულტურების ყველა ძირითად რაიონებში შემჩნეულია ძნელად მოსაშორებელი და მეტად საშიში მავნებლებით დაავადება.

დუშეთის რაიონშიც კი, სადაც უვარგისი სათესლე მასალის ხმარების გამო მოცდენილია მთელი 1934 წლის შემოდგომის ნათესის 20-25 პროცენტი, ყურადღებას არ აქცევენ სათესლე მასალის შეწამვლას, იქ ბევრგან უკვე ითესება შეუწამლავი და უკონდიციო თესლი.

ეს მდგომარეობა გვავალებს მივიღოთ სასწრაფო და გადამჭრელი ზომები ხვნის თესლის შეწამვლის, თესვის და ციტრუსოვანი კულტურების დარგვა-მოვლის გასაუმჯობესებლად და დასაჩქარებლად. ამისათვის საჭიროა არა გაჭიანურებული სხდომები და რეზოლუციები, არამედ ცოცხალი ოპერატიული ხელმძღვანელობა მინდვრად, ძალებისა და საშუალებების სწორად გადაჯგუფება, ტრაქტორებისა და მთელი ცოცხალი გამწევი ძალის მაქსიმალურად დატვირთვით გამოყენება, შრომის დისციპლინის განმტკიცება კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სათანადო კონტროლისა და მეთვალყურეობის დაწესება იმაზე, რომ ერთპიროვნული მეურნეები მტკიცედ განსაზღვრულ ვადებში ასრულებდენ ხვნა-თესვის სახელმწიფოებრივ დავალებებს.

საქართველოს კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საგაზაფხულო კამპანიის შესახებ, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, უნდა გადაიქცეს ხვნა-თესვის სამუშაოებში **სასწრაფო და გადამწყვეტი გარდატეხის** მოხდენის საშუალებად. ამ დადგენილების საფუძველზე თითოეულ რაიონმა უნდა დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი და მობილიზაცია უყოს მთელ ძალებს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის საბრძოლო დავალებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიმდინარე წლის 17 აპრილს მიიღო დადგენილება საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ. ამ დადგენილების თანახმად, საგაზაფხულო კამპანიის სამუშაოების მიმდინარეობა ცენტრალური კომიტეტის მიერ არადამაკმაყოფილებლად არის ცნობილი. 15 აპრილისათვის, არსებული ცნობების მიხედვით, საგაზაფხულო ხვნის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 46,9 პროცენტით, თესვის — 19,8 პროცენტით იმ დროს, როცა გასულ წელს ამავე ვადისათვის აღნიშნული სამუშაოები ფაქტიურად შესრულებული იყო შესაფერისად 53,3 და 27,7 პროცენტით.

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში საგაზაფხულო ხვნის და საგაზაფხულო კულტურების თესვის მხრივ ჩამორჩენილი არიან შემდეგი რაიონები: ადიგენის რაიონი (ხვნის გეგმის 1,6 პროცენტი, თესვის გეგმის 5,8 პროც.), ასპინძის— (6,4 და 28,9 პროც.), გორის (50,2 და 30,5 პროც.), ყვარელის (41 და 23,5 პროც.), ბორჩალოს (47,8 და, 23,5 პროც.) და საგარეჯოს რაიონი (63,4 და 45,6 პროც.).

დასავლეთ საქართველოს რაიონებში საგაზაფხულო ხვნის და საგაზაფხულო კულტურების თესვის მხრივ ჩამორჩენილი არიან შემდეგი რაიონები: ვანის (ხვნის გეგმის 66,4 პროც., თესვის გეგმის 18,1 პროც.), ზესტაფონის (81,6 და 18,7 პროც.), ჭიათურის (16,7 და 15,5 პროც.), ხარაგოულის (12,9 და 12,9 პროც.), ტყიბულის (9 და 9 პროც.), ონის (11,8 და 11,7 პროც.), ენუქიძის (10,9 და 10,9 პროც.), ზუგდიდის (59,2 და 1,1 პროც.), წალენჯიხის (50,5 და 14,6 პროც.), ლანჩხუთის (54,8 და 1,6 პროც.), და ჩოხატაურის რაიონი—(20,2 და 3,4 პროც.).

განსაკუთრებით ცუდად მიმდინარეობს მუშაობა თავთავიანი კულტურების თესლის შეწამვლის საქმეში. საერთოდ რესპუბლიკაში თესლის შეწამვლის გეგმა შესრულებულია 22,4 პროცენტით, ხოლო ამ მუშაობის ჩატარების მხრივ ძლიერ ჩამორჩენილი რაიონები (ბორჩალოს, წალკის, თიანეთის, ჭიათურის, ონის, ენუქიძის, და ცაგერის რაიონები) უკვე შეუწამლავ თესლს თესავენ.

II.

როგორც ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სათესი ბალახების თესვაც, რომელთა გეგმა შესრულებულია მხოლოდ 29,7 პროცენტით. ბალახის თესვის მხრივ ჩამორჩენილი არიან შემდეგი რაიონები: ასპინძის 5,6 პროც., წალკისა—5,6 პროც., ბაშკიჩეთის — 5,8 პროც., თიანეთის — 1 პროც., კასპის — 13,7 პროც., ლუქსემბურგის —25 პროც. და სამხრეთ - ოსეთი — 0,3 პროცენტი. ხოლო ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ადიგენის, დუშეთის და ლანჩხუთის რაიონებს ჯერაც არ დაუწყიათ ბალახების თესვა.

გასულ წელთან შედარებით ძლიერ ჩამორჩენილია ბოსტნეული კულტურების თესვაც, რომელთა გეგმა, გასული წლის 42,9 პროც.-ის ნაცვლად, შესრულებულია მხოლოდ 33,9 პროცენტით. ბოსტნეული კულტურების თესვაში ძლიერ ჩამორჩენ გორის, ხაშურის, კასპის, ლაგოდეხის, ტფილისის; ლუქსემბურგის, საგარეჯოს, სამტრედიის, ზესტაფონის, ჭიათურის, ბორჩალოს, აღბულად - მანგლისის რაიონები და სამხრეთ - ოსეთი.

ჩამორჩენილია აგრეთვე კარტოფილის თესვაც (გეგმა შესრულებულია მხოლოდ 30,1 პროცენტი) კარტოფილის თესვის დაწესებულ ვადებში ვერ მოთავსდენ ხაშურის, გორის, კასპის, თელავის, ტფილისის, ბორჩალოს და საგარეჯოს რაიონები, ხოლო ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ბაშკიჩეთის, თიანეთის, ონის რაიონებში და სამხრეთ-ოსეთში კარტოფილის თესვის ტემპები ჩაშლის საფრთხის წინაშე აყენებს დაწესებულ ვადებში გეგმის შესრულებას.

III.

თამბაქოსათვის ნიადაგის მომზადება არ დაუმთავრებიათ ლაგოდეხის, ყვარლის, ზუგდიდის, წალენჯიხის და ჩხოროწყუს რაიონებს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა დაწესებული ვადა უკვე გავიდა.

ბამბის დასათესად ნიადაგის საგაზაფხულო მოხვნის ვადები უკვე გავიდა. მიუხედავად ამისა, ბორჩალოს და ყარაიას რაიონებს ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ საგაზაფხულო ხვნა ბამბის დასათესად. ამას გარდა, ბორჩალოს რაიონში ძლიერ ჩამორჩენილია მუშაობა მძრალად მოხნული მიწის გადახვნის და სარეველა ბალახის ძირებისაგან ბამბის მინდვრების გაწმენდის საქმეში.

IV.

ცენტრალურმა კომიტეტმა სცნო. რომ სუბტროპიკული მეურნეობის ხაზით ციტრუსოვანი კულტურების გაშენების გეგმა ყველა სექტორში შესრულებულია მხოლოდ 56 პროცენტით, ტუნგოს — 84,2 პროც., რამისა — 4,8 პროცენტით, ამასთან ციტრუსებისათვის ნაკელის და ფოსფორის სასუქის შეტანის გეგმა, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებული ვადები უკვე გავიდა, — შესრულებულია შესაფერისად მხოლოდ 84,2 და 42,8 პროცენტით.

ციტრუსების საგაზაფხულო სამუშაოები ჩამორჩენილია აფხაზეთში, აჭარისტანში, ფოთის, ჩხოროწყუს, ხობის, ზუგდიდის, ჩოხატაურის და ლანჩხუთის რაიონებში; ტუნგოს გაშენების მხრივ ჩამორჩენილი არიან ტუნგოს საბჭოთა მეურნეობები და „საქართველოს ჩაის" საბჭოთა მეურნეობები; რამის გაშენების მხრივ ძლიერ ჩამორჩენილი არიან სამტრედიის, ქუთაისის, სენაკის, ზუგდიდის, ხობის და აბაშის რაიონები, აგრეთვე აფხაზეთის ა. ს. რესპუბლიკა.

V.

ვენახის და ხეხილის ბაღების გაშენების გეგმა შესრულებულია შესაფერისად მხოლოდ 26,8 და 10,8 პროცენტით, ამ სამუშაოების მხრივ ჩამორჩენილია ყველა რაიონი, გარდა თელავის და ლუქსემბურგის რაიონებისა, რომლებმაც შეასრულეს ხეხილის ბაღების გაშენების დაწესებული გეგმები.

VI.

1. ცენტრალურმა კომიტეტმა მიუთითა ჩამორჩენილი რაიონების პარტიის რაიკომებს და რაიაღმასკომებს, რომ ისინი არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას უწევენ საგაზაფხულო თესვის კამპანიას, რის გამოც ჩაშლის საფრთხე მოელის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებას საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სახკომსაბჭოს ა.-წ. 28 იანვრის გადაწყვეტილებით დაწესებულ ვადებში.

2. ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიის რაიკომებს და რაიაღმასკომებს განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ რაიონის ჩამორჩენის ლიკვიდაციას ყოველი ცალკე კულტურის, ყოველი ცალკე კოლმეურნეობის და სოფლის მიხედვით, ამასთან მიამაგრონ ჩამორჩენილ უბნებს რაიკომის ბიუროს და რაიაღმასკომის პრეზიდიუმის წევრები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მთლიანად დამთავრებამდე.

ჩაის საგაზაფხულო სამუშაოები 15 აპრილისათვის

(გეგმების შესრულება პროცენტებში)

რაიონების დასახელება	ნიადაგის მომზადების	თესვის	პლანტაციის აღდგენის	პლანტაციის კაპიტალური რემონტის	მიმდინარე რემონტის	სანაშენე გადაბარვის	ჩაის ბუჩქის გასხვლა—გადაბელვის	ფოსფორიტოვანი სასუქის შეტანის	აზოტიური სასუქის შეტანის	სადრენაჟო ქსელის რემონტისა და აღდგენის	კომპოსტის დამზადების	კალათების დამზადების
ბათომის	200	105,6	100	145	100	100	100	100	112,4	—	15,6	116,8
ქობულეთის	130	102,1	—	—	83,3	100	100	138,8	114,9	151,3	11,7	122,1
გალის	—	170	101,1	116,8	146	100	94,5	74,1	60,7	177,4	29,2	14,6
ოჩამჩირის	—	97	121,6	100	84,1	100	85,6	[illegible]	—	88,5	25	—
მახარაძის	140	100	101	112,4	100	100	100	100	91,5	114,6	[illegible]	44,8
ჩოხატაურის	250	100	100	100	140,6	100	100	56,5	58,4	—	8,8	[illegible]
ლანჩხუთის	—	100	200	272	128,4	100	100	100	98,5	105,3	5,3	67,9
სამტრედიის	—	220	—	107,1	185,7	89	100	92	104,6	108,7	2,8	—
ხონის	100	100,8	150	217,5	148	140	80,6	100	100	100	—	20
ქუთაისის	76	100	—	100	100	100	100	—	—	100	54,6	—
ტყიბულის	—	100	100	60	143,8	100	100	100	100	100	19,2	82
სენაკის	100	100	—	100	100	100	100	140,1	108	[illegible]	68,9	104,2
მარტვილის	160	100,1	—	110,4	115,6	100	100	124,8	115,2	101,8	66,3	35,2
ზუგდიდის	—	38,3	30	42,3	41,9	96,4	93,7	112,1	65,9	64,3	2,4	46,2
წალენჯიხის	48	112,9	280	89,1	104,1	100	88,7	53,7	36,8	56,7	—	55,9
ჩხოროწყუს	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	24,2	17,5
ხობის	100	100	100	113	113	100	100	100	100	[illegible]	20	95,2
სულ საკოლმეურნეო გლეხურ სექტორში	102,3	102,1	99,1	100,5	100	99,5	97,1	94,7	85,7	99,1	23	48,2

ამხ. ლიტვინოვის სიტყვა

ერთა ლიგის საბჭოს საგანგებო სესიაზე

ჟენევა, 17 აპრილი. დღეს დილით ერთა ლიგის საბჭოს საგანგებო სესიაზე გრძელდებოდა საფრანგეთის პროტესტის და ლავალის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის განხილვა.

პირველად გამოვიდა ს.ს.რ. კ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მ. მ. ლიტვინოვი, რომელმაც განაცხადა:

„საკითხი, რომელიც დასმულია ჩვენს წინაშე ერთა ლიგის საბჭოში საფრანგეთის მთავრობის მიმართვის შედეგად, ერთა ლიგის ყველა წევრისათვის ერთნაირ ფორმალურ ინტერეს არ წარმოადგენს, მაგრამ, არსებითად, უეჭველია, რომ იგი როგორც ერთა ლიგის საბჭოს, ისე მთელი ლიგის ყურადღების ღირსია.

ჩვენ გუშინ მოვუსმინეთ იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ვერსალის ხელშეკრულებას და რომლებსაც ახლა უშუალოდ ეხება მათ მიმართ მიღებულ ვალდებულებათა დარღვევა. მაგრამ მე ვლაპარაკობ იმ ქვეყნის სახელით, რომელიც არა თუ არ არის პასუხისმგებელი ვერსალის ხელშეკრულებისათვის, არამედ ამასთან ერთად არასოდეს არ მალავდა თავის უარყოფითი დამოკიდებულებას ამ ხელშეკრულებისადმი მთლიანად და გერმანიის განიარაღებისადმი კერძოდ.

ჩვენი ფორმალური დამოკიდებულება ამ საკითხისადმი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ, როგორც ერთა ლიგის და ლიგის საბჭოს წევრს, საქმე გვაქვს საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევის ფაქტთან იმ სახელმწიფოს მხრივ, რომელიც ფორმალურად ჯერ კიდევ ირიცხება ერთა ლიგის წევრად. ეს, ლიგის წესდების 1-ლი მუხლის მე-2 პარაგრაფის თანახმად, წარმოადგენს ამ წესდების დარღვევას და, მაშასადამე, ლიგის დანარჩენი წევრების მიმართ ვალდებულებათა დარღვევასაც, რამაც მშვიდობიანობას საფრთხე შეუქმნა. ყველა სახელმწიფოს მიერ თავის საერთაშორისო ვალდებულებათა დაცვის აუცილებლობას ლიგის საბჭოს წესდებაში პირველი ადგილი უჭირავს, და ეს მოწმობს იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც ამ ვალდებულებას ეძლევა. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, ვინაიდან მშვიდობიანობის ერთერთი საფუძველია იმ საერთაშორისო ვალდებულებათა დაცვა, რომლებსაც ხალხთა უშიშროებასთან უშუალო დამოკიდებულება აქვთ.

მაგრამ მე მაინტერესებს უფრო ამ საკითხის არსება, ვიდრე მისი ფორმალური მხარე, რომელზედაც საკმაო ვრცლად შეჩერდენ საბჭოს სხვა წევრები. ჩვენ ვდგევართ იმ თვალსაზრისზე, რომ ხალხები თანასწორუფლებიანი არიან და რომ მათ აქვთ უდავო უფლება უშიშროებაზე, და ყველა საშუალებაზე, რომლებიც ამ უშიშროებას უზრუნველყოფენ. ყველა მშვიდობისმოყვარულ სახელმწიფოს აქვს შეიარაღების უფლება თავისი უშიშროების დასაცავად.

მაგრამ, ვაღიარებთ, რა თანასწორუფლებიანობას შეიარაღებაში, ჩვენ უნდა გამოვდიოდეთ იმ მოსაზრებიდან, რომ ეს შეიარაღება გამოყენებული იქნება მხოლოდდამხოლოდ თავდაცვითი მიზნებისათვის, არსებული საზღვრების და საკუთარი უშიშროების დასაცავად.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ეს მოსაზრება საეჭვო ხდება, და როცა, პირიქით, არის შიში, რომ შეიარაღება მიზნად ისახავს არა საზღვრების დაცვას, არამედ დარღვევას, ძალადობის მეთოდებით რევანშის იდეის განხორციელებას. მეზობელი ან შორეული სახელმწიფოების უშიშროების დარღვევას, საყოველთაო მშვიდობიანობის დარღვევას ყველა მისი ტრაგიკული შედეგით?

როგორ მოვიქცეთ, თუ სახელმწიფო, რომელიც მოითხოვს ან ინიჭებს შეიარაღების უფლებას, იმყოფება მხოლოდდამხოლოდ 'იმ ადამიანთა ხელმძღვანელობის ქვეშ, რომლებმაც საქვეყნოდ გამოაცხადეს თავისი საგარეო პოლიტიკის პროგრამა, რაც მდგომარეობს არა მარტო რევანშის, პოლიტიკაში, არამედ აგრეთვე სხვისი ტერიტორიების უსაზღვრო დაპყრობისა და მთელი სახელმწიფოების დამოუკიდებლობის მოსპობის პოლიტიკაში? — იმ ადამიანთა ხელმძღვანელობის ქვეშ, რომლებმაც აშკარად გამოაცხადეს ეს პროგრამა და რომლებიც არა თუ უარს არ ამბობენ მასზე, არამედ დაულალავად ავრცელებენ ამ პროგრამას და მის მიხედვით აწარმოებენ თავის ხალხის აღზრდას? როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევებში, როცა სახელმწიფო, რომელსაც აქვს თავისი ბელადების ასეთი პროგრამა, უარს ამბობს მოგვცეს ამ პროგრამის გაუტარებლობის რამე გარანტია, თავისი შორეული თუ ახლობელი მეზობლების უშიშროების გარანტიები,— გარანტიები, რომლებიც მზად არიან მოგვცენ სხვა სახელმწიფოებმა, ისეთებმაც კი, რომლებიც თავისუფალი არიან ყოველგვარი ეჭვისაგან აგრესიულობაში? შეგვიძლია თუ არა ასეთ ფაქტებზე თვალი დავხუჭოთ? ცხადია, რომ ასეთი შემთხვევები განსაკუთრებული დამოკიდებულების ღირსია. ნებას მივცემ თავს ჩემი აზრის განსამარტავად მივმართო შემდეგ ილუსტრაციას. თუ რომელიმე ქალაქში ნებად-რთულია იარაღის ტარება ცალკე მოქალაქეთათვის, განყენებულად რომ ვილაპარაკოთ, ეს უფლება უზრუნველყოფილ უნდა იქნას ამ ქალაქის ყველა მცხოვრებისათვის.

მაგრამ დავუშვათ, რომ რომელიმე მოქალაქე აშკარად დაესხმის თავს მეზობელი თუ შორეული ქუჩების მცხოვრებთ და დაიწყებს მათი სახლების განადგურებას. არა მგონია, მუნიციპალიტეტმა ამ მოქალაქეს მისცეს იარაღის ტარების ნებართვა ან გულდამშვიდებით შეხვდეს იმას, თუ მან ეს იარაღი უკანონო გზით იშოვა. არა მგონია მხედველობაში მიიღონ სამრად განწყობილი მოქალაქის რაიმე დაპირება, რომ იგი ქალაქის ზოგიერთ კვარტალს დაინდობს და თავისთვის და თავის იარაღისათვის დაიტოვებს მოქმედების თავისუფლებას მხოლოდ დანარჩენ კვარტალებში. მუნიციპალიტეტი ვალდებულია დაიცვას ყველა კვარტალის სიმშვიდე. ამასთან, მოქალაქეს, რომელიც კანონებს არღვევს და თავის თანამოქალაქეებს თავს ესხმის, შეუძლია თავის თავს ნება მისცეს დაარღვიოს დაპირება თავისი მუქარის განხორციელების ადგილის მხრივ. ამიტომ ქალაქი, ყოველ შემთხვევაში, მოითხოვდა მისგან კარგი ყოფაქცევის ეფექტიურ გარანტიებს. განსაკუთრებით ეს შეეძლოთ მოეთხოვათ იმ კვარტალის მცხოვრებლებს, რომელთა მიმართ სამრად განწყობილი მოქალაქე მოითხოვს მოქმედების თავისუფლებას, და მათგან, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე ნაკლებად იქნებოდა მოსალოდნელი, რომ ისინი გამოვლენ ამ მოქალაქის მიერ იარაღის უკანონო შეძენის გასამართლებლად თანასწორუფლებიანობის განყენებული პრინციპისათვის.

ერთი ქალაქის შესახებ ჩემ მიერ ნათქვამი, ცხადია, შეგვიძლია შევუფარდოთ საერთაშორისო ცხოვრებასაც. ერთა ლიგას, რომელიც მოწოდებულია დაიცვას საერთაშორისო ცხოვრების სიმშვიდე დედამიწის ყველა ნაწილში, არ შეუძლია გვერდი აუაროს იმ მოვლენებს, რომლებმაც ამ სიმშვიდეს საფრთხე შეუქმნეს.

ჩვენ მოხარული ვიქნებოდით, რომ შევძლოთ განვიხილოთ ჩვენს წინაშე მდგარი საკითხი დაინტერესებულ სახელმწიფოს წარმომადგენლის დასწრებით და მონაწილეობით, ჩვენ მოხარული ვიქნებოდით მოგვესმინა მისგან ოფიციალური განცხადება, რომ ეს სახელმწიფო ხელს იღებს ძალდატანებითი რევანშის და დაპყრობათა პროგრამაზე, რომ იგი მზად არის ჩვენთან ერთად მიიღოს მონაწილეობა — ყველა სახელმწიფოს და თვითონ მისი უშიშროების უზრუნველყოფაში, საყოველთაო მშვიდობიანობის დაურღვევლობის საერთო ნამდვილ გარანტიათა კოლექტიურ უზრუნველყოფაში. სამწუხაროდ, ეს სურვილი ჯერ კიდევ განხორციელებული არ არის, და აქედან უნდა გამოვიყვანოთ ჩვენი დასკვნები; და ეს დასკვნები, და

გაგრძელება იხ. მე-2 გვ.

სოფლის რაიკომის მუშაობის სტილი

„პრავდის" მოწინავე 19.IV

ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება სამდივნოების და პარტკადრების განყოფილებათა შექმნის შესახებ და ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პლენუმის ა.-წ. 29 მარტის დადგენილება, რომელიც მიღებულია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მითითებასთან სრული შეფარდებით, ყველა პარტიული ორგანიზაციის განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ პარტიული მუშაობის საკითხებზე.

იმ შეცდომების მთავარი არსება, რომლებსაც პარტიული ორგანიზაციები უშვებენ, როგორც ცნობილია, მდგომარეობს იმაში, რომ პარტიულ - ორგანიზაციული მუშაობის და კომუნისტთა ბოლშევიკური აღზრდის საკითხებს მეორეხარისხოვან ადგილზე აყენებენ. ამ შეცდომებს, რომლებიც გამოაშკარავებულ იქნენ საქალაქო ორგანიზაციების მაგალითებზე, სოფლადაც ვხვდებით. სოფლის რაიკომებიც ზოგჯერ აგრეთვე სათანადოდ ვერ აფასებენ შინაპარტიულ საკითხებს. ძალიან ხშირად ეს იწვევს პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის შესუსტებას, რაიკომების მიერ სამეურნეო და საბჭოთა ორგანოების პირდაპირ შეცვლას და ამ ორგანოთა ხელმძღვანელებს „დამსწრეთა" მდგომარეობაში აყენებს.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა გარდაქმნის შემდეგ პარტიის რაიონული კომიტეტების მუშაობის პირობები გართულდა. არაჩვეულებრივად გაიზარდა რაიკომების პასუხისმგებლობა სოციალისტური სოფლის შემდგომი განვითარებისათვის. ეს კი გულისხმობს პირველ რიგში იმ დიდი მუშაობის დამთავრებას, რომელიც დაიწყეს პოლიტგანყოფილებებმა სოფელში ნამდვილად ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციის შესაქმნელად და გასაფორმებლად.

პარტიული ორგანიზაციები სოფლად მრავალრიცხოვანია; აქ ერთეული კომუნისტების რაოდენობა მეტად დიდია. ძალიან ხშირად სოფლის კომუნისტი მოწყვეტილია დიდი მანძილით თავს პარტიულ კოლექტივს, თავის რაიკომს, სადაც მას შეეძლო მიეღო უფრო გამოცდილი ამხანაგებისაგან რჩევა - დარიგება და მითითებანი მუშაობაში. რთული ამოცანების გადაჭრა მას დამოუკიდებლად უხდება. მით უფრო აუცილებელია თვითეული სოფლელი კომუნისტის იდეური შეიარაღების და ბოლშევიკური გამოწრთობის საჭიროება. შინაპარტიული მუშაობის გადაჭრით გაცხოველება სოფლად—აი სოფლის კომუნისტის ასეთი აღზრდის გზა.

ადგილებიდან შემოსული მასალები მოწმობენ, რომ სოფლის რაიკომებშიც დაიწყო შემობრუნება შინაპარტიულ საკითხებისაკენ. მაგრამ ზოგიერთი რაიკომი ამასთან უკიდურესობაში ვარდება. ზოგს სურს სრულიად აიღოს ხელი სამეურნეო და საბჭოთა მუშაობის ხელმძღვანელობაზე რაიონში; ზოგი კი, მაგალითად, კრივცოვის რაიკომის მდივანი ამხ. ზალკანი, ცდილობს ობიექტური მიზეზებით ახსნას სოფლად რაიკომის მიერ სამეურნეო და საბჭოთა ორგანოების აშკარა შეცვლის პრაქტიკის განგრძობის აუცილებლობა. არავითარი არის ამ ქანაობაზე უფრო მავნებელი, ეს ამხანაგები, ერთნიც და მეორენიც აშკარავებენ, რომ მათ ამ შემთხვევაში საკმაოდ არ ესმით პარტიის, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში ძირითადი ხელმძღვანელი ძალის, როლი.

1926 წლის იანვარში ამხანაგი სტალინი შრომაში „ლენინიზმის საკითხებისათვის" წერდა,,.... პროფკავშირები, როგორც პროლეტარიატის მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც პარტიას აკავშირებს კლასთან, უწინარეს ყოვლისა საწარმოო ხაზით; საბჭოები, როგორც მშრომელთა მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც პარტიას აკავშირებს ამ უკანასკნელებთან უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოო ხაზით; კოოპერაცია, როგორც მასობრივი ორგანიზაცია უმთავრესად გლეხობის, რომელიც აკავშირებს პარტიას გლეხთა მასებთან, უწინარეს ყოვლისა სამეურნეო ხაზით, სოციალისტური მშენებლობაში გლეხობის ჩაბმის ხაზით; ახალგაზრდობის კავშირი, როგორც მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია გაუადვილოს პროლეტარიატის ავანგარდს ახალი თაობის სოციალისტური აღზრდა და ახალგაზრდა რეზერვების გამომუშავება; და, ბოლოს, პარტია, როგორც ძირითადი წარმმართავი ძალა პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში, რომელიც მოწოდებულია უხელმძღვანელოს ყველა ამ მასობრივ ორგანიზაციებს, — ასეთია, საერთოდ, დიქტატურის „მექანიზმის" სურათი, „პროლეტარიატის დიქტატურის სისტემის" სურათი...

„ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, — წერდა შემდეგ ამხანაგი სტალინი, — რომ პარტიას შეუძლია ან უნდა შესცვალოს პროფკავშირები, საბჭოები და სხვა მასობრივი ორგანიზაციები. პარტია ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას. მაგრამ იგი მას ახორციელებს არა უშუალოდ, არამედ პროფკავშირების შემწეობით, საბჭოების და მათი განშტოებათა შემწეობით".

პროლეტარიატის დიქტატურის სწორედ ამ „მექანიზმის" ნათელი გაგება ჯერ კიდევ აკლია სოფლის რაიკომების ზოგიერთ მდივანს. არ შეიძლება წარმოვიდგინოთ პარტია [illegible] როლში, რომლებიც არ ერევიან ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში. არ ხელმძღვანელობენ და არ წარმართავენ მას. პარტიის რაიონულ კომიტეტს აქვს ყველა შესაძლებლობა უხელმძღვანელოს სამეურნეო და საბჭოთა მუშაობას რაიონში და იგი ვალდებულია უხელმძღვანელოს მას კიდეც. გადამწყვეტ უბნებზე რაიონში დგანან ადამიანები—კომუნისტები, რომლებიც ემორჩილებიან დაურღვეველ ლენინურ პარტიულ დისციპლინას, რომელთა მეშვეობით და რომელთა დახმარებით რაიკომი ვალდებულია წარმართოს საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საქმიანობა. საბჭოების, კოოპერაციის პარტიული ჯგუფების საშუალებით, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მეშვეობით რაიკომს აქვს შესაძლებლობა შეამოწმოს მართვა - გამგეობის ორგანოების, ხელისუფლების ორგანოების, სამეურნეო ორგანოების მუშაობა, გამოასწოროს შეცდომები მათ მუშაობაში, დაეხმაროს მათ განახორციელონ პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებანი. ასე უნდა ააგოს თავისი მუშაობა პარტიის თვითეულმა რაიონულმა კომიტეტმა.

სოფლის რაიკომები არავითარ შემთხვევაში არ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განმტკიცებისათვის, სოციალისტური სასოფლო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის; მაგრამ სოფლის რაიკომებმა უნდა შესცვალონ თავისი ხელმძღვანელობის სტილი, ისინი ვალდებული არიან თავისი ყურადღების უდიდესი ნაწილი დაუთმონ ორგანიზატორულ და ამზრდელობით მუშაობას მასებში, პარტიულ, საკოლმეურნეო და ტერიტორიული ორგანიზაციების საბოლოო გაფორმებას და განმტკიცებას. ხელმძღვანელობის გაწევა დღეს ნიშნავს დიდი მუშაობის წარმოებას მასებში. მაგრამ ამ მუშაობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მტკიცე, იდეურად შედუღებული, ბოლშევიკურად გამოწრთობილი პარტიული ორგანიზაცია. ასეთი გახდება თვითეული სოფლის ორგანიზაცია, თუ რაიკომები ჯეროვნად მოკიდებენ ხელს თვითეული სოფლელი კომუნისტის იდეურ აღზრდას, შინაპარტიული ცხოვრების გაცხოველებას სოფლად.

რაიკომები, რომლებმაც თავიდან, უნდა მოიშორონ „ჩაფლობა წვრილმანებში" და არ დაუშვან სამეურნეო და საბჭოთა ორგანოების მაგიერობის გაწევა. ვალდებული არიან გამონახონ მუშაობის თავისი სტილი. ეს სტილია ყურადღების მკვეთრად გაძლიერება პროპაგანდის და აგიტაციის ორგანიზაციის საკითხებისადმი; დაულალავი მუშაობა სოფლად ნამდვილი მებრძოლი პარტიული ორგანიზაციის შესაქმნელად; ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის ფართოდ გაშლა სოფლის კომუნისტებს შორის, კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა უფართოეს მასებს შორის, სოფლის მრავალრიცხოვან ინტელიგენციას შორის; ყოველნაირად ამაღლება საბჭოების და სამეურნეო ორგანოების ავტორიტეტისა და მათ ხელმძღვანელების პასუხისმგებლობისა დაკისრებულ საქმეში.

ასეთი უნდა იყოს სოფლის რაიკომის მუშაობის სტილი.

დღეს ა/წ. აპრილის 20 საღამოს 7 საათზე შესდგება

სს ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა

პრეზიდიუმის წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა

სს. ცაკის მდივანი: თ. ჟღენტი

კომუნისტი

შაბათი, 20 აპრილი 1935 წ. № 93 (4249)

ამხ. ლიტვინოვის სიტყვის დასასრული

არა მარტო ფორმალური მოტივები განსაზღვრავენ ჩვენს დამოკიდებულებას შემოტანილი რეზოლუციისადმი. ეს დამოკიდებულება არავითარ შემთხვევაში არ არის დარღვეული ვერსალის ხელშეკრულების და მის ცალ-ცალკე დადგენილებათა გამართლება. არა, იგი არის გამოხატულება ჩვენი მთავრობის მისწრაფებისა — ხელი შეუწყოს ისეთი საერთაშორისო წესრიგის შექმნას, როცა მაქსიმალურად გაძნელდებოდა მშვიდობიანობის დარღვევა, რომელსაც შე[illegible] ასეთი ხელშეკრულებები მოსდევს". (ადს)

გამოხმაურება ამხ. ლიტვინოვის სიტყვაზე

ჟენევა, 17 აპრილი. ამხ. ლიტვინოვის სიტყვამ აქ უაღრესად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც თვით პრინციპული ხასიათით, ისე ტონით. თითქმის ყველა აფასებს მას, როგორც პირდაპირს და აშკარა პასუხს იმ ინსინუაციებსა და ქორებზე საბჭოთა კავშირის მისამართით, რომლებითაც ჰიტლერმა უხვად შეაზავა თავისი საუბარი ბრიტანეთის მინისტრებთან ბერლინში.

ლონდონი, 17 აპრილი. გუშინდელი გაზეთები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ამხ. ლიტვინოვის სიტყვას ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე და ათავსებენ ვრცელ ამონაწერებს სიტყვიდან.

„იუნინგ ნიუსმა" ამხ. ლიტვინოვის სიტყვა მოათავსა მსხვილი სათაურებით: „ლიტვინოვის მიერ ნათქვამი მწარე სიტყვები". გერმანია აპირებს აგრესიის განხორციელებას და უარს ამბობს გარანტიებზე".

„იუნინგ სტანდარტი" გამოვიდა შემდეგი სათაურებით პირველ გვერდზე: „ლიტვინოვი ბრალს სდებს ჰიტლერს", „მშვიდობიანობის საფრთხე".

გაზეთ **„სტარის"** პირველ გვერდზე მოცემულია სათაურები: „აგრესიისათვის დანიშნული შეიარაღება", „საბჭოთა ბრალდებები ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე ჟენევაში".

ბერლინი, 17 აპრილი ამხ. ლიტვინოვის სიტყვამ ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე გერმანულ პრესაში განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია. (ადს).

◆

ამხ. ლიტვინოვის სიტყვა საფრანგეთის პრესაში

პარიზი, 18 აპრილი. ერთა ლიგის საბჭოს გადაწყვეტილებას გერმანიის მოქმედების შესახებ საფრანგეთის პრესა ათასებს როგორც საერთაშორისო სოლიდარობის გამოჩენას საერთო საშიშროების წინაშე, რომელსაც ქმნის გერმანიის გამალებული შეიარაღება. პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამხ. ლიტვინოვის სიტყვას, ხაზს უსვამს, რა მის ენერგიულ და მკაფიო ხასიათს. მთელ რიგ გაზეთებს ვრცელი ამონაწერები მოჰყავს ამ სიტყვიდან.

პერტინაკსი **„ეკო დე პარიში"** წერს:

„ლიტვინოვმა შესძლო სავსებით ემხილებია გერმანიის რევანშის გეგმები და დაეცვა ამ გეგმებისათვის ენერგიული წინააღმდეგობის გაწევის ორგანიზაციის საქმე. პერტინაკსი გაფრთხილებას იძლევა გადაჭარბებით არ იქნას შეფასებული ლიგის საბჭოს რეზოლუციის მნიშვნელობა და აცხადებს, რომ მას მნიშვნელობა ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მოჰყვა ენერგიული მოქმედება. ასეთ მოქმედებად პერტინაკსს მიაჩნია ურთიერთ დახმარების პაქტი. ამასთან დაკავშირებით იგი კმაყოფილებას გამოთქვამს ამხ. ლიტვინოვსა და ლავალს შორის მიღწეული შეთანხმების გამო.

„ერ-ნუველი" წერს:

„ხმის უდიდესი უმრავლესობა, რომლის შეგროვება მოხერხდა ერთა ლიგის საბჭოში წარმოადგენს საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის შეთანხმების პირდაპირ შედეგს". (ადს).

◆

ამხ. ლიტვინოვის მოლაპარაკება ლავალთან

ჟენევა, 18 აპრილი. გუშინ ამხ. ლიტვინოვმა პარიზში ს.ს.რ. კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. პოტიომკინის თანხლებით ინახულა **ლავალი**. საუბარი, რომელშიაც საფრანგეთის მხრით მონაწილეობას იღებდა აგრეთვე საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ლეჟე, 3 საათს გაგრძელდა და ეხებოდა აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებს.

გვიან ღამით ლავალმა ინახულა ამხ. ლიტვინოვი და ერთი საათის განმავლობაში ისაუბრა მას. დღეს დილით ლავალი გაემგზავრება პარიზში.

ამხ. ლიტვინოვმა დღეს დილით მიიღო ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი **ბენეში** და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან (ადს).

◆

საფრანგეთის პრესა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმების შესახებ

ჟენევა, 18 აპრილი. ეხება რა ჟენევის შედეგებს, **„ჟურნალ დე ნასიონი"** წერს:

„ერთა ლიგის საბჭოში გამართული დებატების და გერმანიის ერთსულოვანი დაგმობის გარდა, გუშინდელი დღის ძირითად ფაქტს, უეჭველია, წარმოადგენს ს.ს.რ. კავშირის და საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებს შორის მიღწეული შეთანხმება ურთიერთ დახმარების კონვენციის საკითხში". (ადს).

პარიზი, 18 აპრილი. პრესა იუწყება იმის შესახებ, რომ ჟენევაში ამხ. ლიტვინოვსა და ლავალს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ურთიერთ დახმარების კონვენციის დადების საკითხში. გაზეთები აღნიშნავენ საფრანგეთის დელეგაციის კმაყოფილებას ამ ფაქტით: აცხადებენ რა, რომ სწორედ ეს ამბავი აძლევს დიდ მნიშვნელობას გუშინდელ დღეს ჟენევაში.

„პტი-პარიზიენი" წერს:

„ლიტვინოვმა და ლავალმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომელიც მალე ღრმა გამოხმაურებას გამოიწვევს არამარტო საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირში, არამედ აგრეთვე მთელს მსოფლიოში. ხვალ ლავალი მოახსენებს მინისტრთა საბჭოს ლიტვინოვთან მისი მოლაპარაკების შედეგებს. ხვალვე საბოლოოდ დასახულ იქნება ლავალის მოსკოვში გამგზავრების ვადა". (ადს).

ერთა ლიგის საბჭოს რეზოლუციის პროექტის გარშემო

ჟენევის რეზოლუცია

„მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დემონსტრაციაა"

ლონდონი, 19 აპრილი. ინგლისის პრესის საგრძნობი ნაწილი მიესალმება ჟენევის რეზოლუციას, რომელიც გმობს გერმანიის მოქმედებას.

„დეილი ტელეგრაფი" აღნიშნავს, რომ მაკდონალდმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის სოლიდარობას. კარი გერმანიის შემოერთებისათვის ღიაა, მაგრამ თუ მას ეს არ სურს, სახელმწიფოები განაგრძობენ თავის ღონისძიებებს.

გაზეთი **„მორნინგ პოსტი"** ჟენევის რეზოლუციას უწოდებს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დემონსტრაციას.

ლიბერალური **„მანჩესტერ გარდიანი"**, მიესალმება რა ჟენევის რეზოლუციას, იძლევა კითხვას: „მიხვდება თუ არა ახლა ჰიტლერი, რომ სტრეზაში და ჟენევაში ქვეყნებმა შესძახეს: კმარა?". (ადს).

◆

ინგლისის პრესა მოთმინებას ურჩევს ბერლინს

(ტელეგრაფით, „პრავდის" სპეცკორისაგან)

ლონდონი, 18 აპრილი. **„დეილი ტელეგრაფი"**, მიესალმება რა ჟენევის რეზოლუციას, წერს:

„ძნელი იქნებოდა უფრო სამართლიანი და თავშეკავებული ფორმულის გამონახვა... ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს რეზოლუციის კონსტრუქტიულ ხასიათს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს იურიდიული კომისია". გაზეთის აზრით, მოსალოდნელია სიძნელეები. კომისიის მუშაობა „არ იქნება ადვილი და იგი დაკავშირებული იქნება ახალ ვალდებულებებთან".

ამგვარადვე მსჯელობს **„დეილი ჰერალდი"**, რომელიც აცხადებს: „უახლოესი მომავალი შეიცავს მეტად საშიშ შესაძლებლობებს".

„მორნინგ პოსტი" წერს: სხვა სახელმწიფოებისთვის ყველაზე უმჯობესი იქნება თავი დაანებონ გერმანიას და ნულარ აწუხებენ მას წინადადებებით თანამშრომლობის შესახებ, რომლისაც იგი უარყოფს. საჭიროა, რასაკვირველია, კარის ღიად დატოვება გერმანიისთვის... გერმანიას, რომ ცოტათი უფრო მეტი მოთმინება გამოეჩინა, იგი თავის სამხედრო [illegible] მიიღებდა არასასიამოვნო გართულებების და ჟენევის რეზოლუციის გარეშე".

„ნიუს ქრონიკლი" საჭიროდ სთვლის აგრეთვე მისცეს გერმანიას დრო მოფიქრებისათვის. აღნიშნავს რა, რომ გერმანიის პრესა აღშფოთებული იქნება ჟენევის რეზოლუციით, გაზეთი წერს: „იმედი გვაქვს, რომ ეს გულისწყრომა მალე გაივლის".

„ტაიმსი", თუმცა აღიარებს მოწინავეში, რომ ჟენევის რეზოლუციის „წინააღმდეგ გალაშქრება არ შეიძლება", მაგრამ მაინც გამოდის გერმანიის დამცველად.

„გერმანიის გამოხმაურება ჟენევიდან მიღებულ ცნობებზე, — წერს გაზეთი, — სერიოზულ ეჭვს იწვევს, რომ ახლო მომავალში შესაძლებელი გახდეს რაიმე წარმატების მიღწევა. სამწუხაროა, რომ ისეთმა ორგანიზაციამ, როგორიცაა ერთა ლიგის საბჭო, საჭიროდ არ დაინახა შემამსუბუქებელი გარემოების სახით მითითებია სპეციალურ პირობებზე, რომლებშიაც გერმანიამ დაარღვია თავისი ვალდებულებანი".

ბრიდინგი.

მოსკოვში ლავალის მომავალი ჩამოსვლისათვის

პარიზი, 16 აპრილი. გაზეთები იუწყებიან, რომ ლავალი მოსკოვში, ალბათ ჩამოვა 6 მაისის შემდეგ, ე. ი. მუნიციპალური არჩევნების დამთავრების შემდეგ (ადს).

ბერლინში ძლიერი უკმაყოფილებაა

ბერლინი, 17 აპრილი. ერთა ლიგის საბჭოს პროექტმა, რომელიც ლავალმა საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მთავრობათა სახელით შეიტანა, ბერლინში ძლიერი აღელვება გამოიწვია. უკვე სათაურები, რომლებიც ჟენევიდან მიღებულ ცნობებს და სტატიებს გაუკეთეს, მოწმობენ იმ ძლიერ შთაბეჭდილებას, რაც ამ პროექტმა გერმანიაში მოახდინა: „რეზოლუციის გამოუსადეგარი პროექტი", „უვარგისი მსაჯულები", „ჩვენ გაფრთხილებას ვიძლევით გერმანიის მიმართ ახალ ბრალდებათა წამოყენების წინააღმდეგ" — ასეთ სათაურებს უკეთებს **„ფელკიშერ ბეობახტერი"** პირველ გვერდს. „ჟენევის უმაგალითო რეზოლუცია გერმანიის წინააღმდეგ", „გამოწვევა", „თვალთმაქცობის დოკუმენტი" — ასეთი სათაურებით არიან აჭრელებულნი დანარჩენი გაზეთები.

„ბერლინერ ბერზენ-ცაიტუნგი" აცხადებს:

„ჩვენს წინააღმდეგ სურთ მიიღონ რეზოლუცია, რომელიც თავისი სტილით, უცერემონიობით და გერმანიისათვის ცილის დაწამების ცდით იმდენად მიუღებელია ჩვენთვის, რომ ეჭვი გვებადება. ხომ არ არის ის განზრახ შედგენილი, რათა შეუძლებელი გახადონ შეთანხმება გერმანიასთან და გააძლიერონ მდგომარეობის დაძაბულობა".

გაზეთი მკაცრად ილაშქრებს საფრანგეთისა და ლავალის წინააღმდეგ. ყველა გაზეთი იმეორებს ერთსადაიმავე აზრს: „გერმანია არასოდეს არ შეურიგდება ასეთ გადაწყვეტილებას და მას უპასუხოდ არ დატოვებს" „ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, — წერს **„დოიჩე ალგემეინე ცაიტუნგი"**, — რომ თუ ერთა ლიგა ამ წინადადებას მიიღებს, გერმანია მას სავსებით გარკვეულ პასუხს გასცემს".

გერინგთან ახლო მდგომი **„ნაციონალ-ცაიტუნგი"** აშკარად წერს:

„გერმანია დუმილით არ შეხვდება „გაკიცხვას" ერთა ლიგის საბჭოს მხრივ. უდაოდ უნდა ჩაითვალოს, რომ გერმანია აუცილებლად გამოვა კონტრგანცხადებით". „გამორიცხულია, — განაგრძობს გაზეთი, — რომ, თუ ერთა ლიგის საბჭო მიიღებს გერმანიის წინააღმდეგ მიმართულ გადაწყვეტილებას, იგი დათანხმდეს ჟენევაში მთავარი რომელიმე სხვა საკითხის განხილვაზე. გერმანიის ყოველგვარი შემდგომი თანამშრომლობა ჟენევასთან ამ მომენტიდან გამორიცხულია" (ადს).

◆

ერთა ლიგის საბჭოს საგანგებო სესია დაიხურა

ჟენევა, 17 აპრილი. ერთა ლიგის საბჭოს საღამოს სხდომაზე შექმნეს დღევანდელი რეზოლუციის მესამე ნაწილით გათვალისწინებული კომიტეტი ისეთი წინადადებათა შესატანად, რომლებიც ერთა ლიგის წესდებას მისცემდენ უფრო მეტ მოქმედიანობას კოლექტიური უშიშროების ორგანიზაციის საქმეში. კომიტეტში შევიდნენ საბჭოთა კავშირის, დიდ-ბრიტანეთის, კანადის, ჩილის, საფრანგეთის, უნგრეთის, იტალიის, ჰოლანდიის, პოლონეთის, პორტუგალიის, ესპანეთისა და თურქეთის წარმომადგენლები. სესია დაიხურა.

ერთა ლიგის საბჭოს შემდეგი, მორიგი სესია დანიშნულია 20 მაისისათვის (ადს).

გერმანიის პრესის დაბნეულობა

(ტელეფონით „პრავდის" ბერლინელ კორესპონდენტისაგან)

ბერლინი, 18 აპრილი. „ჟენევა—მსოფლიო ბოლშევიზმის პლატფორმაა"—ასეთი სათაურით **„ფელკიშერ ბეობახტერი"** ათავსებს ანგარიშს ერთა ლიგის საბჭოს გუშინდელი სხდომის შესახებ.

ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს ბანს აძლევს ბირჟის გაზეთი **„ბერზენ-ცაიტუნგი"**.

პრესას არ ძალუძს დაფაროს ყველასათვის აშკარა მძიმე პოლიტიკური დამარცხება გერმანიისა, რომლის პროგრამა და მოქმედება ყველა პატარა და დიდმა სახელმწიფომ, გერმანიასთან ყველაზე მეგობრულად განწყობილმა პოლონეთმაც, — დაგმო როგორც მუქარა მშვიდობიანობისათვის. გერმანიის პრესის ანტისაბჭოთა ღრიანცელი უფრო მეტად უსვამს ხაზს გერმანიის პოლიტიკის დამარცხების მთელს სიმძიმეს.

იმ აშკარა და საიდუმლო მოლაპარაკების მთელი აზრი, რომელსაც გერმანია აწარმოებდა 16 მარტის კანონამდე და განსაკუთრებით მას შემდეგ, იმაში მდგომარეობდა, რომ არა თუ განეხორციელებია შეიარაღება, არამედ აგრეთვე მიეღწია ამ შეიარაღების საერთაშორისო დადასტურებისთვის და „საპატიო" შეთანხმებისათვის ახალ საფუძველზე. ჟენევის გადაწყვეტილებამ კი სწორედ საწინააღმდეგო დაგვანახვა.

გაზეთები ვერ მიმხვდარან როგორ მოხდა, რომ კენჭის ყრის წინ ერთა ლიგის საბჭოში წარმოდგენილ სახელმწიფოებიდან შვიდი სახელმწიფო გერმანიის დაგმობის წინააღმდეგი იყო, ხოლო ამ შვიდიდან ფინიშთან მარტო დანია მივიდა. ყველაზე შავ ლაქად გერმანიის პოლიტიკისათვის რჩება პოლონეთის დელეგატის ბეკის საქციელი.

„წყვდიადით არის მოცული, თუ რამ აიძულა პოლონეთი, — წერს „ბერზენცაიტუნგი", — ხმა მიეცა რეზოლუციისთვის მას შემდეგ, რაც პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა წინადღით წარმოთქვა ფხიზელი და ობიექტიური სიტყვა?".

და აქ იმისათვის, რომ ხაზი გაუსვას პოლონელი მეგობრის „ვერაგობას" გაზეთი ადარებს „ზოგიერთი მინისტრის" საქციელს ჟენევაში ცნობილი ინგლისური ფილმის „ბენგალის" გმირების მოქმედებასთან: სამი ინგლისელი ოფიცერი ტყვედ ჩაუვარდა აჯანყებულ ინდოელთა რაზმს. ერთმა ოფიცერმა ვერ გაუძლო წამებას და გაუხსნა აჯანყებულთა ბელადს ბრიტანეთის ჯარების განლაგება.

„თუმცა, — წერს „ბერზენცაიტუნგი", — ჟენევის ბრძანებლებს ფიზიკური წამებისთვის არ მოუმართავთ, მაგრამ პოლიტიკური მუქარით მათ რამდენიმე საათის განმავლობაში გასტეხეს პირველთა წინააღმდეგობა".

სურათის სისრულისათვის აღვნიშნავთ კიდევ ერთ მომენტს. ყველა გაზეთი თითქმის ერთნაირი ტონით აცხადებს, რომ გუშინდელი კენჭის ყრით ჟენევამ დასწვა გერმანიასთან შეთანხმების „ხიდი", ის „ხიდი", რომლის შენარჩუნებას ზოგიერთი სახელმწიფო ასე დაბეჯითებით ცდილობდა.

„ამჟამად, — წერს გაზეთი, — გერმანიას არ სურს რაიმე ნაბიჯი გადადგას და მისთვის სულერთია, რას ფიქრობენ ჟენეველი ბატონები ახალი ხიდების შესახებ".

ჰოფმანი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

მოსკოვი, 17 აპრილი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა შემდეგი საქალაქო კომიტეტების პარტიული კადრების განყოფილებათა 10 გამგე (დამატებად უკვე დამტკიცებული სიისა, იხ. 29 მარტის „კომუნისტი"):

კუიბიშევის — ამხ. ვ. ფ. ბუდრეიკო.

ნოვოსიბირსკის — ამხ. ნ. ი. ჟიტენევი.

ხარკოვის — ამხ. ს. ფ. გაიდუკი.

ორენბურგის — ამხ. ლ. ბ. გერშონოვიჩ-ოლგინი.

პერმის — ამხ. მ. ნ. დიაჩკოვი.

ივანოვოს — ამხ. ნ. ი. ელზოვი.

[illegible] — ამხ. ვ. მ. შუ[illegible].

ტაშკენტის — ამხ. მ. მ. კაცი.

სამარყანდის — ამხ. ი. ს. ბალაკინი.

ხაბაროვსკის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად და პარტიული კადრების განყოფილების გამგედ დამტკიცებულია ამხ. მ. ი. ეგოროვი, ნაცვლად ამ სამუშაოდან გათავისუფლებული ამხ. ზ. მ. რაბინოვიჩისა. (ადს).

◆

საგაზაფხულო ხვნა-თესვა

15 აპრილისათვის

(გეგმის შესრულება პროცენტებში)

რაიონები	ხვნის	თესვის		ხვნის	თესვის
ტფილისის	153	62,8	ახალციხის	45,1	45,2
ფოთის	113,8	9	ჩოლურის	45,5	45,5
გურჯაანის	119,7	60,4	ხაშურის	44,2	36
სიღნაღის	103	74,4	ყვარელის	41	23,5
ყარაიას	99,5	43,6	ჩხოროწყუ	37,6	3,6
ლუქსემბურგის	99,5	46,4	ალბულაღის	37,2	39
აბაშის	99,1	1,7	დუშეთის	30,6	16,9
მარტვილის	98,1	19,6	ზესტაფონის	31,6	18,7
სამტრედიის	94	6,1	სამხრეთ-ოსეთი	27,6	19,9
სენაკის	91,7	15,1	ბაშკიჩეთის	23,8	6,8
თელავის	86,7	45,4	თიანეთის	23	16,3
ხონის	83.6	25.2	ცაგერის	22.4	43,1
კასპის	71,1	42,6	ჩოხატაურის	20,2	3.4
ქუთაისის	76.3	61,1	ბორჯომის	16,6	11,9
მახარაძის	68,1	1,6	ქიათურის	16,7	15,5
ვანის	66,4	18,1	ხარაგოულის	12,9	12,9
საგარეჯოს	63.4	45,6	ონის	11,8	11,7
ბაღდადის	62,4	7,2	ამბროლაურის	10,9	10,9
ჩხარის	61,8	39,4	აჭარისტანი	9,4	—
ზუგდიდის	59,2	1,1	ოკრიბის	9	9
ხობის	54,9	—	ტოლოშის	6,4	23.9
ლაგოდეხის	54	23,1	წალკის	3,8	16,9
ლანჩხუთი	54,8	1.6	ზ. სვანეთის	3,6	3,6
აფხაზეთი	55,6	2	ადიგენის	1,6	5,3
გორის	50,2	30,5	ბოგდანოვკის	0,4	2,2
წალენჯიხის	50,5	14.6			
ბორჩალოს	47,8	23,5	ს უ ლ	46,9	19,8

ჩინეთის წითელი არმიის მორიგი გამარჯვება

ჩან კაი-შის ჯარები მარცხდება

ტოკიო, 17 აპრილი. სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება, რომ ჩინეთის წითელმა არმიამ გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა სიჩუანის მთავრობის ჯარებზე ძიტუნ-შეხუნის რაიონში, სიჩუანის პროვინციის ჩრდილოეთ - დასავლეთ ნაწილში. **15 აპრილს წითელი არმიის რაზმებმა 50 ათასი მეომრის შემადგენლობით, სუ-სიან ძიანის სარდლობით დაიკავეს ჯუ-ძიანი და აიძულეს გენერალ ტერ სი-ხოუს პროვინციალური ჯარები, ხელი მოეწერათ ხელშეკრულებაზე წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტის შესახებ".**

როგორც ვიცით, სიჩუანის მილიტარისტების ნაწილი უკმაყოფილოა ჩან-კაი-შის მოქმედებით და განზრახული აქვს დაიწყოს ბრძოლა ნანკინის მთავრობის წინააღმდეგ.

განავითარა რა შეტევა, ჩინეთის წითელმა **არმიამ 16 აპრილს დაიკავა ლოძიანი**, რომელიც მდებარეობს სიჩუანის პროვინციის დედაქალაქ ჩენდუდან 20 მილის დაშორებით და წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს ჩენდუს დასაცავად. ჩენდუს მოსახლეობის შეძლებულ ფენებს შორის დიდი პანიკაა.

სააგენტო იუწყება აგრეთვე, რომ ჩინეთის წითელი არმიის ნაწილებმა ჯუ დეს და მაო ძე-დუნის სარდლობით უკანასკნელ დღეებში **კვლავ სასტიკად დაამარცხეს ნანკინის ჯარები, რომლებსაც პირადად ჩან კაი-ში ხელმძღვანელობს გუიჯოუს პროვინციის დედაქალაქ — გუიანთან. ნანკინის ჯარებთან ბრძოლაში წითელმა არმიამ გაანადგურა 20-ზე მეტი თვითმფრინავი, მათ შორის ჩან კაი-შის პირადი თვითმფრინავი.** კრიტიკული მდგომარეობის გამო, ჩან -კაი-შიმ გასცა ბრძანება სასწრაფოდ გადაიყვანონ ნანჩანიდან გუიჯოუში 20 ყუმბარმზიდი და დასდო ხელშეკრულება ჩიან სუე-ლიანის ყოფილი ჩრდილო - აღმოსავლეთის არმიის გუიჯოუში გადაყვანის შესახებ. (ადს).

◆

ლავალის განცხადება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმების გამო

ჟენევა, 18 აპრილი. **„ჟურნალ დე ნასიონს"**, ეხება რა ამხ. ლიტვინოვის მოლაპარაკებას ლავალთან ჟენევაში, მოჰყავს ლავალის შემდეგი განცხადება:

„ჩვენ დავსახეთ ჩვენი შეთანხმების ძირითადი ხაზები. ახლა ჩვენ ამის შესახებ მოვახსენებთ ჩვენს მთავრობებს და გამოვიმუშავებთ კონვენციის ტექსტის საბოლოო რედაქციას".

გაზეთი აღნიშნავს, რომ ანალოგიური შეთანხმება დადებული იქნება ჩეხო - სლოვაკიასთან. (ადს).

დ. სალაყაია

ტფილისის სატყეო სამრეწველო მეურნეობის დირექტორი

შევინარჩუნოთ მიღწევები

„ა.-კავკასიის სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ა.-კავკასიის სამხარეო კომიტეტს აუცილებლად მიაჩნიათ სატყეო მრეწველობის წლიური გეგმის ყოველ მიზეზს გარეშე შესრულება, განსაკუთრებით ექსპორტის დარგში, და მოითხოვენ ყველა საბჭოთა და პროფესიული ორგანიზაციებისაგან, პირველ რიგში-კი სატყეო მეურნეობისა და სატყეო მრეწველობის ორგანიზაციებისაგან ყველა ძალისა და საშუალებების მობილიზაციას ამ უმნიშვნელოვანესი სახ.-სამეურნეო ამოცანის გადასაჭრელად".

ა.-კავკასიის სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ეს დადგენილება ტფილისის სატყეო სამრეწველო მეურნეობის მუშაკებისათვის გადაიქცა საბრძოლო პროგრამად. ამ დადგენილებამ შექმნა ყველა პირობა ჩამორჩენის დაძლევისათვის, სწრაფი რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიღწევისათვის სატყეო მრეწველობის ფრონტზე.

ამ დადგენილების გამოქვეყნებიდან (1933 წ. აგვისტო) ჩვენ გავიარეთ საკმაო დრო. უკან მოვიტოვეთ მიმდინარე წლის 1-ლი კვარტალი. მაშასადამე, შეიძლება შევაჯამოთ და შევაფასოთ ჩატარებული მუშაობა.

1933 წლის მეორე ნახევარში დამზადდა და გამოზიდულ იქნა 17.420 კუბიკური მეტრი ხე-ტყე და შეშა. ექსპორტის გეგმა შესრულდა 113 პროც., წინაამდეგ წლის 1-ლი ნახევრის 65,3 პროცენტისა. 1934 წლის გეგმა შესრულდა 108,9 პროცენტით, დამზადდა და გამოზიდა 36.369 კუბ. მეტრი ხე-ტყე და შეშა. აქედან ექსპორტის გეგმა შესრულდა 105,3 პროცენტით.

სატყეო მეურნეობის მუშაკებმა ღრმად შეიგნეს, რომ **„ხე-ტყის დამზადება კლასობრივი ბრძოლის საპასუხისმგებლო უბანია** („პრავდა). რომ ამ ბრძოლის ოდნავადაც შესუსტება საბოლოო ანგარიშში ლახვარს სცემს გეგმის შესრულებას. და ხე-ტყის დამზადების ფრონტზე გამარჯვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა — გამოზიდვა — ,ამ წლის 1-ლ კვარტალშიც ბრწყინვალედ შესრულებულია. გამოზიდულია ხე-ტყე და შეშა 22.886 კ.-მეტრი, გეგმა შესრულებულია 134,3 პროცენტით, აქედან საექსპორტო გეგმის შესრულება უდრის 110,1 პროცენტს.

დიდი მუშაობა ჩატარდა ტყის გაშენების ხაზითაც. ტყის კულტურების გაშენების 1934 წლის გეგმა შესრულებულია 167 პროცენტით.

მთავარი, რასაც ხაზი უნდა გაესვას მეურნეობის მუშაობაში — ეს არის თვითღირებულების შემცირება. მაგალითად, წიფელაზე თვითღირებულება შემცირებულია 1,6 პროც., ავიო-წიფელაზე 6,2 პროც., ნეკერჩხალზე — 6,7 პროც., საფანერო წიფელაზე — 9,5 პროც., თელაზე — 2,1 პროც., შეშაზე —14,8 პროც. ამასთან ერთად ამ წელიწადნახევრის განმავლობაში ჩვენ მივაღწიეთ შრომის ნაყოფიერების გადიდებას 45,9 პროცენტით; სამმართველოს ხარჯები ერთი წლის განმავლობაში შემცირებულია 16.000 მანეთით, ადმინისტრატიული ხარჯები-კი 3.500 მანეთით.

1934 წლის და 1935 წლის 1-ლი კვარტალის გეგმის წარმატებით შესრულება ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რა უდიდესი შესაძლებლობა მოეპოვებათ სატყეო მეურნეობებს, როცა ისინი ცოცხლად, ოპერატიულად მუშაობენ და როცა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ბოლშევიკურად ეხმარებიან. ჩვენ შეგვიძლია მრავალი მაგალითების მოყვანა იმის შესახებ, თუ როგორი თავგამოდებით იბრძვიან ცალკე სატყეო რაიონები დავალების ვადამდე შესრულებისათვის. ასეთ რაიონებს ეკუთვნის **დუშეთი, თიანეთი, ალბულაღ-მანგლისი და ტფილისი.** ამ წელიწადნახევრის განმავლობაში მათ არ ჰქონიათ მნიშვნელოვანი ჩამორჩენის ერთი შემთხვევაც-კი. ეს უნდა მიეწეროს ადგილობრივი პარტიული **რაიკომებისა და რაიაღმასკომების** მიერ სატყეო მრეწველობის მნიშვნელობის სათანადოდ შეფასებას.

თუ წინათ ხე-ტყის დამზადება — გამოზიდვა მეორე წელში გადადიოდა და კვარტალობით ჭიანურდებოდა, ეს სამუშაოები ახლა განსაზღვრულ ვადებში, გადაჭარბებით სრულდება. გასაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ 1933-34 წელს ჩამორჩენილი **გარე-კახეთის რაიონი** წელს დაწინაურდა, აღებული ვალდებულება გადაჭარბებით შესრულდა.

სატყეო მეურნეობის მუშაკების დაძაბულ მუშაობას შეუმჩნევლად როდი ჩაუვლია. ტფილისის სატყეო მეურნეობა სამართლიანად არის წარდგენილი ა.-კავკასიის სატყეო მრეწველობის გარდამავალი დროშის პირველ კანდიდატად. მრავალჯერ მივიღეთ ფულადი ჯილდოც. თავის მხრივ ჩვენ **გარდამავალი დროშით დავაჯილდოვეთ ალბულაღ - მანგლისის რაიონი**, რომელმაც 1933-34 წლის გეგმის შესრულებაში ყველაზე უფრო ისახელა თავი. ყოველივე ეს ქმნის იმის სტიმულს, რომ კიდევ უფრო უკეთ ვიმუშაოთ და ჩქარი ნაბიჯით წავიდეთ წინ.

ამ უდაო მიღწევებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვუმადლოდეთ საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ს და პირადად ამხ. **ბერიას**, რომელიც გვიწევს ყოველდღიურ კონკრეტულ ხელმძღვანელობას.

რაში მდგომარეობს ამ მიღწევების „საიდუმლოება"?

პირველი. ჩვენ, პარტიის სწორი ხელმძღვანელობით, შევძელით მუშათა კადრის შექმნა, ამ კადრთან მუშაობა, ძალების სწორად განაწილება მეურნეობის ცალკეულ უბნებზე. მუშაობა უშუალოდ წარმოებაზე-დამზადებაზე, გამოზიდვაზე, დაცურებაზე, ტრანსპორტზე სწყვეტს გეგმის შესრულების საკითხს. ხოლო ეს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს თვითეული მუშაკის ღირსების საქმეს.

მეორე. ჩვენ შევძელით პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებათა ბოლომდე დაყვანა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლამ რაიონებს შორის და რაიონების შიგნით, მთელი რიგი წამახალისებელი ღონისძიებათა გატარებამ (დაწინაურება, გარდამავალი დროშა, პრემიები, წითელი და შავი დაფა) ხე-ტყეზე მომუშავეებში გამოიწვია ახალი ენტუზიაზმი, შეაიარაღეს ისინი ბრძოლის კონკრეტული ლოზუნგებით ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მესამე. ჩვენ შევძელით ძალიან ახლოს მივსულიყავით ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან, დაგვეჭირა მათთან მჭიდრო კავშირი. სისტემატიურად გვეწარმოებია შესრულების შემოწმება, გამოგვეაშკარავებია მუშაობის სუსტი მხარეები ხელი ჩაგვეჭიდებია იმ მთავარ რგოლებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფდა საქმის სასწრაფო წინსვლას. თუმცა არა საკმაო, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული წინ საკ. სახკომსაბჭოს იმ დადგენილების განსახორციელებლად, რომელიც გარკვეულად მიგვითითებს რომ „ახლა, როცა კოლმეურნეობებმა სოფლად მთავარი ადგილი დაიჭირეს, კოლმეურნეობებთან სახელშეკრულებო ურთიერთობის სწორად მოწყობას უდავოდ შეუძლია მთლიანად უზრუნველყოს ტყის დამუშავების მოთხოვნილება მუშა ხელზე და გამწევ ძალაზე".

მეოთხე. ჩვენ საფუძვლიანად შევისწავლეთ მუშაობის გადამწყვეტი უბნები და დავსახეთ ღონისძიებანი სამუშაოთა თავისებურების მიხედვით. თუ ხე-ტყის თვითეული სამუშაო თავის დროზე არ იქნა შესრულებული, თუ ხელიდან გავუშვით დამზადების, გამოზიდვის, დაცურების ხელსაყრელი მომენტი, მაშინ მთელი მუშაობა ჩაიშლება. ასეთი მდგომარეობის თავიდან აცილებას უდიდესი სიფრთხილით და პასუხისმგებლობით მოვეკიდეთ. თვითეული უბანი პასუხისმგებელი გავხადეთ განსაზღვრულ სამუშაოს ჩატარებისათვის, [illegible] გაუპიროვნება, საგრძნობლად ავამაღლეთ შრომის დისციპლინა.

ხე-ტყის სამუშაოთა წარმატებით ჩატარებისათვის ბრძოლაში გაიზარდა ტყის-მჭრელები, მზიდავები, დამცურებლები — **ბაბალე დიდებაშვილი** (მუშა დამცურებელი ქალი), **გიორგი ელბაქიძე, ვახ. არაბული, ნიკ. მაისურაძე, მოსე ავაკიმოვი, გოგლა გონგაძე, ლადო ბათაშვილი, იოსებ ქაფიაშვილი, კუჭიაშვილი, ნიკ. ხოლტანი, ან. კაპანაძე, მიხ. გრიგორიანი, ნიკ. მაკაროვი, გ. საჩელიძე,** და **ისკანდერ ისმაილოღლი**.

1934 წელი — ეს იყო სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაძლიერებით გაუმჯობესებისა და არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების წელი.

მაგრამ საშიში იქნებოდა მოპოვებულ მიღწევით დაკმაყოფილება. **„არ გაგვიტაცოს მოპოვებულმა მიღწევებმა და არ გავმედიდგურდეთ".** ამხ. **სტალინის** ეს სიტყვა სერიოზული გაფრთხილებაა ჩვენთვის. ყველაზე უფრო ძნელი სამუშაო წინ გვიდევს. მიმდინარე წლის 3-კვარტალში უნდა მივცეთ საბჭოთა ქვეყანას 12.076 კუბ. მეტრი ხე-ტყე ამასთან ერთად უნდა დავაცუროთ 35.000 კუბ. მეტრი შეშა. ეს კი მოითხოვს გამოვიჩინოთ მაქსიმალური ოპერატიულობა, ხელიდან არ გავუშვათ საქმე, რომ ბოლშევიკურად შევასრულოთ აღებული ვალდებულება.

ამავე დროს ჩვენს მუშაობას ჯერ კიდევ თან ახლავს მრავალი ნაკლი. ხე-ტყის დამზადება — დაცურებაზე მომუშავეთათვის არ არის შექმნილი შესაფერი საყოფაცხოვრებო პირობები. ცუდად არის დაყენებული კვების და მომარაგების საქმე. მართალია, ტფილისის სატყეო მეურნეობას აქვს თავისი საგარეუბნო მეურნეობა, მაგრამ ის ჯერ-კიდევ სუსტად მუშაობს. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ნამდვილად არ ვიბრძვით მუშების უკეთ მომარაგებისათვის. საგარეუბნო მეურნეობის მუშაობის გაძლიერება, მისთვის სწორი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის გაწევა, ყოველდღიური ზრუნვა მუშათა უკეთ მომარაგებისათვის ამჟამად წარმოადგენს ჩვენს მთავარ და ძირითად საბრძოლო ამოცანას.

ამას თან ერთვის ის გარემოებაც, რომ ხე-ტყეზე მომუშავე კოლმეურნენი, ინდივიდ. მეურნეები, მუშები თვეობით ვერ ღებულობენ ხელფასს. ხელფასის დავალიანება მეურნეობაში 380.000 მანეთამდე აღწევს; ეს მთელი ბოროტებაა. მარტო მცხეთის ქარხანაზე 10 აპრილისათვის ირიცხება სადებიტორო დავალიანება 150.000 მანეთი. ამავე დროს მეურნეობას არ გააჩნია საბრუნავი თანხა. (რაც უნდა შეადგენდეს 250.000 მანეთს მაინც. ამაზე უპირველეს ყოვლის უნდა იზრუნოს სატყეო ტრესტმა.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ხელშეკრულებებს კოლმეურნეობებთან მუშა - ხელის მოწოდებაზე დღემდე ვდებდით „საერთოდ". როცა კოლმეურნეობები ჩვენთან სდებენ ხელშეკრულებებს და თავის თავზე იღებენ ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას ხე-ტყის დამზადების, გამოზიდვისა და დაცურების დარგში, ჩვენ მათ ვპირდებით დახმარებას სამრეწველო საქონლით, მომარაგებით. ამ დაპირებას ჩვენ ვერ ვასრულებთ. კიდევ მეტი. მათ ხელფასსაც თვეობით ვერ ვაძლევთ. მაშასადამე, ხელშეკრულებებს პირველ რიგში ვარღვევთ ჩვენ. ეს ჩვენს მუშაობაში წარმოადგენს დიდ „სატკივარს". ეს „სატკივარი" დაუყოვნებლივ უნდა მოვსპოთ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი ადგილობრივი ორგანიზაციები გულგრილად ეკიდებიან მთავრობის დადგენილების განხორციელებას ტყისადმი მზრუნველობით მოპყრობის შესახებ. ამიტომ ადგილი აქვს ტყის გაჩეხვას, დამზადებული მასალების გატაცებას. ასეთ ბარბაროსულ მოქმედებას სათანადო წინააღმდეგობას ადგილებზე არ უწევენ. ხშირია შემთხვევა ტყეების გაჩეხვის (ტყის დაფარულ არეების სახნავ ნაკვეთებად გადაქცევა (რაც ტყის განადგურების ყველაზე უფრო ცუდ ფორმას წარმოადგენს.). ამ მიმართებით ადგილობრივი ორგანიზაციები რატომღაც ლმობიერებას იჩენენ. ჩვენ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ტყის გამნადგურებლების სანიმუშოდ დასჯის არც ერთი ფაქტი. ასეთი ლმობიერება ხელს უწყობს ბოროტებას, ჰქმნის ტყის განადგურების სტიმულს მოსახლეობის ისეთ ნაწილში, რომელიც ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა ძველი შეხედულებისაგან: „ტყეს რა მოსპობს".

ასეთი მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია. საჭიროა ტყეს მზრუნველობით მოვეპყრათ. ტყისადმი კულტურული მოპყრობა უნდა ჩავუნერგოთ მოსახლეობას და ყველა ორგანიზაციას. ამაზე პირველ ყოვლისა სატყეო ორგანიზაციები უნდა ზრუნავდნენ.

ბევრმა ორგანიზაციებმა, უმთავრესად სატყეო კომისარიატმა, ჯერ კიდევ ვერ შეითვისეს პარტიის და მთავრობის მითითებები, მიმართული სატყეო მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესებისაკენ. ისინი განსაკუთრებით ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ხე-ტყეზე მომუშავე სპეციალისტებისადმი ზრუნვას. სპეციალისტები ადგილებზე არ არიან უზრუნველყოფილი ბინით, მომარაგებით. ცუდად სდგას ხელფასის საკითხი. მაგალითად რაიონის 1-ლი კატეგორიის ინჟინერი — მეტყევე თვიურ ხელფასს იღებს 350 მანეთს, უბნის მეტყევე ინჟინერი — 230 მანეთს. ხელფასის ასეთი „სისტემა" ქმნის სპეციალისტების დენადობას.

„საჭიროა გავუფრთხილდეთ თვითეულ ნიჭიერ და მცოდნე მუშაკს, გავუფრთხილდეთ და გამოვზარდოთ ის, საჭიროა ადამიანებს მზრუნველობით და ყურადღებით გამოზრდა, როგორც მებაღე ზრდის თავის სანუკვარ ხეხილს". (სტალინი).

ჩვენი პარტიის ბელადის ეს მითითება განსაკუთრებული ძალით ეხება ხე-ტყეზე მომუშავეებს. აქ ჩვენ კადრები საკმაოდ არა გვყავს და ისინი კიდევ უფრო მეტი მზრუნველობით და ყურადღებით უნდა გამოვზარდოთ. ჩვენ უნდა დავაკმაყოფილოთ მათი საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებანი.

ტყის ჩამოცურების და ხე-ტყის დამუშავების მუშათა და სპეციალისტთა კოლექტივი ამჟამად აკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ გამოასწოროს არსებული ნაკლოვანებანი და დააკმაყოფილოს ის უდიდესი მოთხოვნები, რომელთაც სატყეო მრეწველობის მეურნეობას უყენებს მთელი სახალხო მეურნეობის ზრდა.

ჩვენი სახელის საქმეა — განუმტკიცოდ მიღწეული წარმატებანი და ჩქარი ნაბიჯით წავიდეთ წინ ახალ გამარჯვებისაკენ.

ამჟამად ტფილისის სატყეო მრეწველობის მეურნეობას განზრახული აქვს სპეციალური ბრიგადის გაგზავნით მოაწყოს თავისი მუშაობის გამოცდილების გადატანა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ჩამორჩენილ რაიონში და თავის მხრივ გაიზიაროს ამ რაიონის დადებითი გამოცდილება

ჩაის კრეფისათვის მზადებას

დამკვრელი ტემპები და სანიმუშო ხარისხი

მოფიქრებულად დავგეგმოთ ჩაის მოსავლის აღება

(სამი რაიონის შემოწმების მაგალითზე)

წელს საქართველოში უნდა მოიკრიფოს 12.347.800 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ე. ი. 5.705.200 კილოგრამით მეტი, ვიდრე შარშან. მარტო საკოლმეურნეო გლეხურ სექტორზე წელს მოდის 9.799.000 კილო ჩაის ფოთოლი.

ამ საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულება უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ორგანიზებულად და ყოველმხრივ მომზადებული შევხვდებით ჩაის კრეფის სეზონს, რომელიც აპრილის უკანასკნელ რიცხვებში იწყება.

ჩაის კრეფის გეგმების დაყვანა, მკრეფავთა კადრების მომზადება, საკოლმეურნეო ბრიგადების სწორად გამოყოფა და მათი მიმაგრება ჩაის პლანტაციებზე, მიმღები პუნქტების მოწყობა, გზების წესრიგში მოყვანა, ტრანსპორტის მოგვარება, კალათების და ყუთების მომზადება. და სხვა — აი რა არის საჭირო ჩაის ფოთლის კრეფის ვადაზე დაწყებისა და ნაყოფიერად გაშლისათვის.

ჩვენ ამ წერილში შევეხებით ჩაის ფოთლის კრეფის გეგმების დაყვანის საკითხს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მზადების პერიოდში.

ამჟამად ჩაის კრეფის წლიური გეგმა ყველა სოფელსა და კოლმეურნეობას აქვს მიცემული. მაგრამ მარტო წლიური გეგმის შედგენა არ წყვეტს საკითხს. საჭიროა გეგმის **დაყვანა** რაიონამდე, სოფლამდე და კოლმეურნეობამდე თვეების მიხედვით **დიფერენცირებულად**, ე. ი. პლანტაციის წლოვანების, ადგილმდებარეობისა და სხვა თავისებურ პირობების გათვალისწინებით.

ამ მხრივ გვაქვს აშკარად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ამჟამად.

ჩვენ შევამოწმეთ **მახარაძის, ქობულეთის და ბათომის რაიონები**. ამ რაიონებში 15 აპრილისათვის ჩაის კრეფის გეგმები არ იყო დაყვანილი თვეების მიხედვით სასოფლო - საბჭოებამდე და კოლმეურნეობამდე.

ამ გარემოებას ნაწილობრივ იმანაც შეუშალა ხელი, რომ საქ. მიწსახკომის სუბტროპიკული კულტურების სამმართველომ რაიონებამდე დაგვიანებით (11 აპრილს) დაიყვანა ჩაის კრეფის გეგმა თვეების მიხედვით.

მახარაძის რაიონში 15 აპრილს უკვე მზად ჰქონდათ გეგმა თვეების მიხედვით, მაგრამ ის არ იყო სწორად შედგენილი. ამ გეგმით მაისში და [illegible] თვეებში (ცალკე სოფლებისა და კოლმეურნეობებისათვის დააწესეს კრეფის **თანაბარი** პროცენტი, ისე რომ მხედველობაში არ მიიღეს ნიადაგისა და პლანტაციების მდგომარეობა.

ეს მოხდა იმიტომ, რომ გეგმა შეადგინა რაიმიწგანის აღრიცხვის ინსპექტორმა **თენეიშვილმა** აგრონომების მონაწილეობის გარეშე ამ გეგმის არსებობის შესახებ მახარაძის მტს-ის დირექტორმა ამხ. **შაფაქიძემ** მხოლოდ 15 აპრილს გაიგო.

თვეების მიხედვით ჩაის კრეფის თანაბარი პროცენტი დააწესეს ბათომის რაიონშიც. საქ. მიწსახკომის გეგმის მიღებამდე. ქობულეთის რაიონის ჩაის კანტორამ თავისი გეგმა შეიმუშავა. მაგ. საქ. მიწსახკომი ქობულეთის რაიონისათვის ითვალისწინებს მაისში ჩაის მოკრეფას წლიური გეგმის 29 პროცენტის რაოდენობით, აჭარისტანის მიწსახკომმა დააწესა 28 პროცენტი, ხოლო ქობულეთის ჩაის კანტორამ — 30 პროცენტი.

საბჭოთა მეურნეობა „ილიჩის" (სოხუმის რ.) დამკვრელი ამხ. ნინა ლისოლინა სათბურებიდან იღებს გერანის ნერგს ამხ. ლ. ბერიას სახ. კოლმეურნეობაში გასაგზავნად

საჭიროა კრეფის დაწყებამდე დარჩენილი დღეები მაქსიმალურად გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ცალკე სოფელს კოლმეურნეობას და ერთპიროვნულ მეურნეობას ქონდეს თვეების მიხედვით ჩაის კრეფის დიფერენცირებული გეგმა.

ამ საქმეში უნდა იქნან გამოყენებული აგრონომები და აგროტექნიკოსები.

ვ. მ.

1934 წელს საქართველოში მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 6.642.100 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. აქედან საბჭოთა მეურნეობებმა ჩააბარეს 1.240.400 კილოგრამი.

წელს რესპუბლიკაში უნდა დამზადდეს 12.347.800 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. აქედან საბჭოთა მეურნეობებში მოიკრიფება 2.548.800 კილოგრამი, დანარჩენი კი საკოლმეურნეო - გლეხურ სექტორში.

ამრიგად საქართველოში წელს უნდა მოიკრიფოს და სახელმწიფოს ჩაბარდეს 5.705.200 კილოგრამით მეტი ჩაის ფოთოლი, ვინემ გასულ წელს.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა აქა-იქ დაიწყება 25 აპრილიდან, მასობრივად ეს მუშაობა გაჩაღდება 5 მაისიდან.

საქართველოში წელს იმუშავებს 199 ჩაის მიმღები პუნქტი. გასული წლის 124 პუნქტის ნაცვლად.

1934 წ. საქართველოში მუშაობდა ჩაის 21 ფაბრიკა, წელს იმუშავებს 27.

შარშან საქართველოსჩაის ფაბრიკებმა გამოუშვეს 1.882.400 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მზა პროდუქცია. 287.200 კილოგრამი არახარისხოვანი ჩაი, ხოლო 299.400 კილოგრამი აგურის ჩაი სულ [illegible]69.000 კილოგრამი.

1935 წ. „საქჩაის" ფაბრიკები გამოუშვებენ 2.691.200 კილოგრამ ხარისხოვანი ჩაის მზა პროდუქციას, 274.800 კილოგრ. არახარისხოვან. ხოლო 200.000 კილოგრამ აგურის ჩაის. სულ გამოშვებული იქნება 3.166.000 კილოგრამი ჩაი. ანუ 1.197.000 კილოგრამით მეტი, ვინემ გასულ წელს.

მახარაძის რაიონში

არ იცავენ ჩაის სამუშაოთა ხარისხს

(ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

მახარაძის რაიონში ჩაის საგაზაფხულო სამუშაოთა საერთო გეგმის შესრულება არ იძლევა ცუდ სურათს. აბა, გადახედეთ მათ ცნობებს: ნიადაგის მომზადების გეგმა 140 პროცენტით აქვთ შესრულებული, თოხვა — 100 პროც., პლანტაციის აღდგენა—101 პროც., კაპიტალური რემონტი — 112,4 პროც., მიმდინარე — 100 პროც., საზამთრო გადაბარვა — 100 პროც. და ა. შ.

დამშვიდებულებს რაიონის საერთო გეგმის შესრულებით, ყურადღებიდან **„გამორჩათ"** ზოგიერთი კოლმეურნეობები, სადაც მხოლოდ აპრილის მესამე ხუთდღიურში მოკიდეს ხელი ჩაის საგაზაფხულო სამუშაოებს. მახარაძის მტს-მა კი თავის მხრივ შეასუსტა ყურადღება ჩაის სამუშაოთა **ხარისხისადმი**.

აქ ორი-სამი დღის წინათ ჩვენ საქ. მიწსახკომის სუბტროპიკული კულტურების სამმართველოს უფროსის ამხ. **ირ. ხუხუასთან** ერთად შევამოწმეთ სოფ. ლიხაურის, ნიაბაურის და ჭანიეთის კოლმეურნეობების ჩაის პლანტაციები.

გამოირკვა, რომ ჩაის საგაზაფხულო სამუშაოებს აქ უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან, უხეშად არღვევენ აგროწესებს.

სოფ. ჭანიეთის კოლმეურნეობა „წინსვლას" (თავმჯდომარე **ვ. რამიშვილი, აგროტექნიკოსი ქავთარაძე**) პირველი ბრიგადის ნაკვეთში ჩაის ბუჩქი ძალზე ცუდ მდგომარეობაშია. 1932 წლის გაზაფხულზე გაუშენებიათ ჩაი და ახლა ბუჩქები ძლივს მოსჩანს. ეს იმიტომ, რომ მათ პლანტაციაში დღემდე არ გაუყვანიათ სადრენაჟო კვლები. ამის გამო ნიადაგი გადარეცხილია, შემცირებულია მოსავლიანობა. წესით კი მათ სადრენაჟო ქსელი თესვის დაწყებამდე, ე. ი. 1932 წელს უნდა გაეყვანათ.

სადრენაჟო ქსელის გაუყვანლობის გამო 1933 წელს უნდა ჩაეტარებინათ კაპიტალური და მიმდინარე რემონტი. კოლმეურნეობა „წინსვლის" პირველი ბრიგადა კი ამ სამუშაოს მხოლოდ 1935 წლის აპრილის მესამე ხუთდღიურში შეუდგა.

სამუშაოების მთელი წლობით დაგვიანებასთან ერთად არც ხარისხს ექცევა ყურადღება.

კაპიტალური რემონტისათვის საჭირო იყო ბარით ბუდნების ამოღება, აქ მიმართეს უვარგის, გაადვილებულ წესს — კავით გადაბარვას. გარდა ამისა გაუფხვიერებელ ნიადაგში დათესეს ჩაი, ერთ ადგილზე 3—4 ცალი ჩაის თესლის ნაცვლად, თესებ მხოლოდ თითოს. თესვის დროს არ გეგმავენ ნაკვეთს, ჩხირებს არ უსვამენ.

თითქმის ასეთივე სურათია ამავე კოლმეურნეობის მეორე ბრიგადის ჩაის ნაკვეთებში... ყველაფერ ამას მიუმატეთ პირუტყვის თარეში პლანტაციებში, და, მაშინ ნათელი გახდება, ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიც არის ჩაის პლანტაციები.

სოფ. ნიაბაურის კოლმეურნეობა „იმედის" (თავმჯდომარე ბოლქვაძე) და ლიხაურის ლენინის სახ. კოლმეურნეობის (თავმჯდომარე თოიძე) ნაკვეთებშიც ცუდად არის ჩატარებული საგაზაფხულო სამუშაოები.

ამ კოლმეურნეობებს არ გაუყვანიათ სადრენაჟო კვლები, საზამთრო გადაბარვაში ბარის ნაცვლად კავია გამოყენებული. პლანტაციების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის დროს დარღვეულია აგროწესები. იშვიათად ნახავთ ჩხირებს, თესლის ჩაყრის მანძილი დიდად არის დაშორებული. პლანტაციებს მორეული აქვს „ქასრა".

ჩვენ აღნიშნულ კოლმეურნეობათა პლანტაციების მდგომარეობა გავაცანით მახარაძის რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებს.

ყველა გაკვირვებას გამოსთქვამდა. არ სჯეროდათ. მაგრამ როცა მათ ადგილზე ჩვენთან ერთად ნახეს ხსენებულ კოლმეურნეობათა ნაკვეთები, მაშინ დარწმუნდენ სინამდვილეში.

— ყველაფერი ეს კოლმეურნეობათა ცუდი ხელმძღვანელების ბრალია — აცხადებს მტს-ის დირექტორი ამხ. **შაფაქიძე**.

ჩვენ არ ვედავებით ამ აზრთა სისწორეში. მაგრამ უდავოა ისიც, რომ მტს-ის დირექტორი ამხ. შაფაქიძე არც ერთხელ არ ყოფილა სოფ. ჭანიეთის კოლმეურნეობა „წინსვლის" ნაკვეთებში. მტს-ის ჩაის აგრონომს **ჭილუყვაძეს** მხოლოდ 10 დღის წინათ ჩაუვლია კოლმეურნეობაში. უბნის აგრონომებს და აგროტექნიკოსებს თავი არ შეუწუხებიათ —მუშაობის დროს მტკიცედ გაეტარებინათ აგროწესები, რაიმიწგანის ხელმძღვანელობაც არ ჩანს.

მახარაძის რაიონში ბევრი ისეთი მოწინავე კოლმეურნეობაა, სადაც სანიმუშოდ არის მოვლილი ჩაის პლანტაცია. კარგად ჩაატარეს საგაზაფხულო სამუშაოები. მაგრამ განა ეს ამცირებს რაიონის ხელმძღვანელ ორგანიზაციების პასუხისმგებლობას? რასაკვირველია. არა.

მახარაძის რაიონის ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას. რომ ჩაის პლანტაციები გამო[illegible] ყველა კოლმეურნეობაში [illegible] სანიმუშოდ.

ვ. მთვრალაშვილი.

სალიბაურელი დამკვრელების ბრძოლა პირველობისათვის

სალიბაურის (ბათომის რაიონი) ჩაის საბჭოთა მეურნეობა თავის დროზე ჩაება ლაითურის ამხ. კიროვის სახ. საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და სპეციალისტების მიერ გამოცხადებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში 1935 წლის საწარმოო დავალებათა ვადაზე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და სპეციალისტებმა თავის მხრივ იკისრეს მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებანი.

ჩვენ შევამოწმეთ სოცშეჯიბრების მიმდინარეობა. ეცნობით ამ მეურნეობის მუშაობას და რწმუნდებით. რომ სალიბაურელი დამკვრელები მართლაც **საქმით** იბრძვიან ბოლშევიკური სიტყვის განაღდებლად.

მათ იკისრეს წელს ქვეყანას მისცენ 185.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი გასული წლის 96.000 კილოგრამის ნაცვლად. მოკრეფილი ფოთლის 95 პროცენტი პირველი ხარისხის უნდა იყოს—ასეთია სალიბაურელი დამკვრელების დაპირება.

აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ბრიგადირი ამხ. ბრეხლავეცი ამოწმებს საზამთრო გადაბარვის ხარისხს.

ეს პირობა მათ უნდა გაანაღდონ. ჩაის დარგში მოცემული პირველი კვარტალის დავალებანი (მცირეოდენის გამოკლებით) ვადაზე შეასრულეს. ამჟამად იღებენ ყველა ზომას, რათა წარმატებით შეასრულონ მეორე კვარტალის საწარმოო გეგმები.

ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მწვანე ფოთლის **განუწყვეტელი** კრეფის შეუფერხებლად გატარებას. აქ დამკვრელურად ემზადებიან ამ მეტად საპასუხისმგებლო მუშაობის წარმატებით ჩატარებისათვის.

ჩაის მწვანე ფოთლის საკრეფად უკვე შედგენილია 11 ბრიგადა 238 მუშის შემადგენლობით, მზად არის 350 კალათი და 50 ყუთი, შეკეთებულია საპლანტაციო გზები, ყავთ ორი ავტომანქანა, მიღებულია ზომები დამატებით 2 ავტომანქანის მისაღებად.

ამჟამად მეურნეობაში 178 მუდმივი მუშაა. რომლებსაც მოწყობილი აქვთ ინდივიდუალური ბოსტნები 9,5 ჰექტარის რაოდენობით. მეურნეობაში არის მუშათა 7 საცხოვრებელი სახლი. დაწყებულია და ივნისში უნდა დამთავრდეს კიდევ ორი სახლი 60 ბინით.

წელს აქ აიგო ახალი სასადილო, მუშებს შეღავათიან ფასებში თვეში 15-ჯერ ეძლევათ ხორციანი სადილები, დილას და საღამოს ჩაი, ცხელი საუზმე.

სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობას ამ მიღწევებთან ერთად ნაკლიც აქვს. სადრენაჟო არხების გაწმენდის გეგმა აქ 11 აპრილისათვის 75.4 პროც. იყო შესრულებული, ციტრუსების პლანტაციებში ორგანული სასუქი შეტანილია 11,5 ჰექტარზე ნაცვლად 27 ჰექტარისა.

მიღებულ წარმატებების კიდევ უფრო განმტკიცება, ნაკლის უახლოეს დროში გამოსწორება,—ასეთია ამ მეურნეობის პარტიული, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანა.

ჯემალ შამილაძე.

წალენჯიხის ჩაის ფაბრიკაში

(საქ. კორესპონდენტისაგან).

წალენჯიხის ჩაის ფაბრიკამ წელს უნდა გადაამუშაოს 390 ათასი კილოგრამი ჩა მწვანე ფოთოლი, ე. ი. სამჯერ მეტი, ვინემ გასულ წელს. ეს კიდევ უფრო მეტ მოვალეობას და პასუხისმგებლობას აკისრებს ჩაის ფაბრიკის მთელს კოლექტივს.

ფაბრიკა კარგა ხანია შეუდგა ჩაის ფოთლის გადამუშავებისათვის მოსამზადებელ მუშაობას. გასულ წელს მუშაობდა ოთხი როლერი, წელს დამატებით დადგმულია კიდევ სამი; გაფართოვდა ჩაის ნაჭკნობი საამქრო, მოეწყო დამახარისხებელი.

შარშან ფაბრიკა მუშაობდა ტრაქტორის ძრავით, ამის გამო ზოგჯერ მუშაობა ფერხდებოდა. წელს უკვე ამუშავებულია 175 ცხენის ძალიანი ელექტრო სადგური, ამ დღეებში დამთავრდება ხაზის გაყვანა და ფაბრიკა ტექნიკური მოწყობილობით მზად იქნება შეუფერხებელი მუშაობისათვის.

ერ. ხასაია.

ასე თამბაქოს უხვი მოსავალი არ მიიღება

მიმდინარე წელს აჭარისტანში უნდა დაირგას სულ 675 ჰექტარი თამბაქო. აქედან კოლმეურნეობებში 435 ჰექტარი, ხოლო ერთპიროვნულ მეურნეობებში — 240.

წინასწარვე უნდა აღინიშნოს, რომ აჭარისტანის მეთამბაქოობის რაიონები სუსტად იბრძვიან ამ დავალების წარმატებით შესრულებისათვის. ამას სხვათაშორის მოწმობს ის სამარცხვინო ჩამორჩენა, რომელსაც ადგილი აქვს თამბაქოს საადრეო ხვნის გეგმის შესრულებაში. მაგალითად: ხელმძღვანელი ორგანოების მიერ დაწესებული ვადების მიხედვით სათამბაქო ნიადაგის ადრეული ხვნა **ბათომის** რაიონში პირველ აპრილამდე უნდა დამთავრებულიყო, ნამდვილად კი 10 აპრილისათვის ხვნის გეგმა 68 პროცენტით იყო შესრულებული. რაც შეეხება **ქედისა და ხულოს რაიონებს**, სადაც საადრეო ხვნის დამთავრების უკანასკნელ ვადად 15 აპრილია დაწესებული, გეგმის შესრულება არ აღემატება 17—18 პროცენტს.

ვადების დარღვევასთან ერთად მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და ცალკე სოფლებში არ იცავენ ხვნის სიღრმეს, ტოვებენ ხარვეზებს (სოფ. დაბაძველა, ირემაძეები), თამბაქოსათვის გამოყოფილ მიწებს იყენებენ სხვა კულტურების გასაშენებლად (კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრება" —ორცვა) და სხვ.

როდემდის უნდა გაგრძელდეს ეს ჩამორჩენა?

ჭაღარა კოლმეურნეების საქმიანი წინადადებანი

ამას წინათ ლანჩხუთის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექციაში გაიმართა მოხუც კოლმეურნეთა თათბირი. მათ წამოაყენეს ახალი, საქმიანი წინადადებანი მოსავლიანობის გადიდებისათვის.

სოფ. შუხუთის მცხოვრებმა, კოლმეურნე გოგუაძემ აღნიშნა, რომ წინათ, როცა სიმინდის ყანებში გაჰყავდათ საშრობი თხრილები, თვითეულ ჰექტარზე ღებულობდნენ 20 ცენტნერამდე სიმინდს, უკანასკნელ წლებში კი, როცა კოლმეურნეებმა თავი დაანებეს თხრილების გაყვანას, მინდვრები დაჭაობიანდა და 4-5 ცენტნერს ძლივსღა იძლევა, იმიტომ საჭიროა კვლავ მოვკიდოთ ხელი მინდვრების გაშრობას.

სოფ. გუმბალაურის მცხოვრებმა მოხუცმა **ხოფერიამ** განაცხადა, რომ საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს **სასუქის** გამოყენებას. რადგან მიწა ძალზე გამოფიტულია, ხოლო ბუნებრივი სასუქის დიდი რაოდენობა გამოუყენებელი რჩება.

კოლმეურნე **იმნაძემ** შემოიტანა წინადადება ფართოდ გამოყენებული იქნას სიმინდის კულტივაცია, რასაც კოლმეურნეები აქამდის არ მიმართავდენ.

კოლმეურნე ებრალიძემ მიუთითა, რომ ჩაის პლანტაციებს ლანჩხუთის რაიონში შეუძლიათ 2.000 კილოგრამი ნედლი ფოთლის მოცემა ჰექტარზე, ამისათვის საჭიროა მხოლოდ ჩატარდეს პლანტაციების გულდასმით დამუშავება. ამიტომ იგი წინადადებას იძლევა დაწესდეს საკოლმეურნეო ბრიგადებისათვის გამომუშავების ნორმები თვითეული ნაკვეთის ნიადაგობრივი და სხვა პირობების მიხედვით.

მოხუცთა თათბირმა ნაშუადღემდე გასტანა. მათ საქმიან წინადადებებს, მათ გამოცდილებას და ადგილობრივ პირობების ცოდნას სამ.-სატრაქტორო სადგური აღრიცხავს და გაავრცელებს რაიონის ყველა კოლმეურნეთა შორის (ადს).

აგრ. თ. კუნჭულია

რამი

რამი ანუ ჩინური ჭინჭარი მრავალ-წლიანი სუბტროპიკული მცენარეა. რამის სხვადასხვა სახიდან ყველაზე უფრო პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს თეთრი რამი („ბოეხმერია ნივეა"), რომელიც უმთავრესად სუბტროპიკულ რაიონებში მოყავთ. რამის პლანტაცია მოსავალს 15 წლის განმავლობაში იძლევა. მის სამშობლოდ ითვლება ჩინეთი და იაპონია. რამის ლაფანი იძლევა იშვიათ და ძვირფასი ხარისხის ნედლეულს (ბოჭკოს) საფეიქრო მრეწველობისათვის. რამის ბოჭკო ხასიათდება აბრეშუმისებური ელვარებით და ბოჭკოვან მცენარეთა შორის ყველაზე უფრო **მაგარია**. რამის ბოჭკოსაგან მზადდება: ხავერდი, პლუში, ტრიკო, ხალიჩა, ხელთათმანი, ბრეზენტი, თევზის საჭერი ხელსაწყოები და სხვ. რამი იძლევა ნედლეულს ხელოვნური აბრეშუმისა და მკვრივი ქაღალდის დასამზადებლად.

რამის კულტურის 4 წლის ცდებმა სავსებით ცხადჰყო მისი სამრეწველო მაშტაბით განვითარების შესაძლებლობა საქართველოში. **კოლხეთისა და ალაზნის ნიადაგში იგი საუკეთესოდ ხარობს.**

ყველა საშუალება არსებობს იმისათვის, რომ რამი საქართველოში ფართოდ განვითარდეს. მით უმეტეს, როცა საბჭოთა სპეციალისტების თავგამოდებული მუშაობის შედეგად ძირითადად გადაწყვეტილია საკითხი სართავ კულტურათა მექანიზირებული წესით - დეკორტიკაციის (ლაფანის მიღება) და დიგუმაციის (ბოჭკოს მიღება) დამუშავების შესახებ. ამ გარემოებამ კიდევ უფრო ფართო გზა გაუხსნა ბოჭკოვან მცენარეთა და კერძოდ კი რამის დიდი მაშტაბით განვითარებას.

საქართველოში ჩამოყალიბებულია რამის სამი საბჭოთა მეურნეობა (ქვალონი, ალაზანი, ტეხური). საკოლმეურნეო სექტორში იგი გავრცელებულია: გალის, ზუგდიდის, ხობის, სენაკის. აბაშის, სამტრედიის, ხონის, ვანის და ქუთაისის რაიონებში. აქედან რამის ძირითადი რაიონებია: აბაშა, სენაკი და ხობი.

რამი წელიწადში იძლევა მოსავალს სამჯერ, თუ პლანტაცია წესიერად არის მოვლილი. **ალაზნის რამის საბჭოთა მეურნეობაში შარშან ერთ სეზონში მოსავალი სამჯერ აიღეს და ჰექტარზე მიიღეს 15 ტონა ნედლი ღერო გეგმით გათვალისწინებულ 5 ტონის ნაცვლად.** ხოლო ზოგიერთმა კოლმეურნეობამ აბაშისა და ხობის რაიონიდან 2 წლიანი რამის ფართობზე ჰექტარიდან მიიღო 9-10 ტონა ნედლეული.

სამწუხაროდ, ასე როდი იყო ყველგან. შარშან რამის საშუალო მოსავალი საქართველოში ჰექტარიდან 2 ტონას უდრიდა. მთავარი მიზეზი რამის დაბალი მოსავლიანობისა გასულ წლებში ის იყო, რომ რამის გაშენებისა და მოვლა - დამუშავების საქმეში არ იცავდენ აგროტექნიკის ელემენტარულ წესებს. სახელდობრ, **რამს აშენებდენ წინასწარ შეუსწავლელ ნიადაგზე**, ნიადაგს ცუდად ამზადებდენ, სანერგე მასალა დაბალი ხარისხის იყო, რამის პლანტაციებში ზოგან (სენაკი, ქუთაისი) არ ატარებდენ სამელიორაციო სამუშაოებს, პლანტაციები შემოუღობავი იყო, რის გამო პირუტყვი ანადგურებდა რამის ნარგავებს.

საკავშირო ტრესტმა, „საქრამიმ" შარშან ჩაატარა რამის პლანტაციების გამოკვლევა ვარგისიანობის თვალსაზრისით. გამოირკვა, რომ პლანტაციები გამეჩხერებული იყო საშუალოდ 60 პროცენ. თვითეულ ჰექტარზე 25 ათასი ბუჩქის ნაცვლად იყო 8-10 და 12 ათასი ბუჩქი. ქუთაისისა და ხობის რაიონებში პლანტაციების გამეჩხრება 80 პროცენტს აღემატებოდა. ცხადია, ასეთ პირობებში კარგ მოსავალს ვერ მივიღებდით.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანიზაციების გადაწყვეტილებით, ამჟამად „საქრამი" აწარმოებს გამეჩხრებულ პლანტაციების რემონტს (ბუჩქების შეკეთებით). რამის მოსავლიანობის გადიდებაზე ზედმეტია ლაპარაკი, თუ არ გვექნა **სრულმოსავლიანი პლანტაცია**. ხოლო ამას მაშინ მივაღწევთ, როცა მოსავლის **აღებისას თვითეულ ჰექტარზე 25 ათასი რამის ბუჩქი იქნება.**

თუ ჩვენ მივიღეთ რამის მცენარეთა ეს რაოდენობა ჰექტარზე, უზრუნველყავით მისი წესიერი მოვლა - პატრონობა, მაშინ რამის მოსავალიც თვალსაჩინოდ გაიზრდება. ეს ჩანს კოლხიდის საცდელ - სამეცნიერო სადგურის მუშაობის მაგალითიდან, სადაც ჰექტარზე დარგეს 25-27 ათასი რამის ბუჩქი და ერთ სეზონში მოსავალი სამჯერ აიღეს 48 ტონის რაოდენობით, ხოლო ნედლ ღეროდან გამოსული ბოჭკო 960 კილოგრამს აღწევდა. ამიტომ რამის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციების ვალია მთელი მუშაობა ამჟამად ისე წარმართონ, რომ რემონტის ჩატარებისას მტკიცედ დაიცვან ეს მეტად მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიება. მით უმეტეს, რომ პლანტაციების კაპიტალური რემონტი უნდა ჩატარდეს სულ 216,7 ჰექტარზე. აქედან 188 ჰექტ. კოლმეურნეობებში, დანარჩენი (28,7 ჰექტ.) საბჭოთა მეურნეობებში. მასალები, რომელიც ჩვენ ხელთ არის, მოწმობენ, რომ ზოგან ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ რემონტის ვადაზე და ხარისხოვნად ჩატარების უდიდესი მნიშვნელობა რამის მოსავლიანობის გადიდებისათვის. აბა, რით უნდა აიხსნას რომ ის სამუშაო, რომელიც უნდა დამთავრებულიყო 10 აპრილს სამ რიცხვისათვის სანახევროდაც არ იყო შესრულებული.

რამის უხვი მოსავლიანობის ბედი წყდება სწორედ მისი გაშენების პირველ წელს. იმაზე, თუ როგორ დავიცავთ აგროწესებს და რანაირად ჩავატარებთ დარგვის კამპანიას-დიდად არის დამოკიდებული რამის მოსავლის ზრდა. რამი დარგვის პირველ წელს არ იძლევა მოსავალს. ზოგიერთი სამეურნეო მუშაკი და სპეციალისტიც კი ფიქრობს რაკი რამი პირველ წელს მოსავლის მომცემი არ არისო. ამიტომ დარგვის პირველ ხანებში გაცხარებული მუშაობის ჩატარება საჭიროებას არ წარმოადგენსო. ასეთი „მოსაზრება" სინამდვილეს არ შეეფერება.



სათესლეთ გაზრდილი რამის მცენარე ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში.

ახალი საკონტრაქტაციო პირობების მიხედვით წელს რამი კოლმეურნეობებში უნდა გაშენდეს 313 ჰექტარზე. საბჭოთა მეურნეობებში რამის დარგვის გეგმა განსაზღვრულია 67 ჰექტარის რაოდენობით.

კონტრაქტაციის პირობების მიხედვით კოლმეურნეობამ სახელმწიფოს დარგვის მეორე წელს ჰექტარიდან უნდა ჩააბაროს 5 ტონა ნედლი ღერო, დარგვის მესამე წელს 10 ტონა, მეოთხე და შემდეგ წლებში კი 20 ტონა. ეს დავალება რეალურია, მაგრამ იგი „თავისთავად" არ შესრულდება. საჭიროა რამის დარგვისას ენერგიული ბრძოლის გაჩაღება აგროტექნიკურ ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად. აქა-იქ რამის გადარგვა დაიწყო. მალე იგი მასობრივად გაჩაღდება.

რამის ახალი პლანტაციისათვის ნაკვეთი შერჩეული უნდა იქნას სწორი ან მცირეოდენი დაქანებით, გაუკეთდეს საწრეტი და წყალგამტარი არხები, ნიადაგი მოიხნას 18 სანტიმეტრის სიღრმეზე. გარდა ამისა, ნაკვეთი დაცული უნდა იქნას ქარისაგან.

არ კმარა ნიადაგის შერჩევა და წესიერი დამუშავება. ამასთან ერთად მთავარია **ჯანსაღი სარგავი მასალის დამზადება**. გასულ წლებში რამის სარგავ მასალის შეძენაზე მხოლოდ დარგვის წინა დღეებში ფაცურობდენ. ბევრგან მხოლოდ ცდილობდენ გეგმა შეესრულებიათ. დარგვის ხარისხზე კი არ იწუხებდენ თავს წელს ამის მსგავსი რამ აღარ უნდა განმეორდეს. ახლად დარგული ნერგების გახარება დიდად არის დამოკიდებული ფესვების წესიერ დაჭრაზე, ამიტომ ეს მუშაობა უნდა ჩატარდეს აგრონომიული ძალების მტკიცე კონტროლის ქვეშ ყოველ მიზეზს გარეშე უნდა დაირგოს დახარისხებული ნერგები, რადგან გადარგვის შემდეგ მხოლოდ ერთნაირი მასალა იძლევა თანაბარ ზრდას.

რამის მოსავლიანობის გადიდების უმნიშვნელოვანესი პირობაა სასუქი. რამი, როგორც მრავალწლიანი კულტურა და მწვანე მასის დიდი რაოდენობით მომცემი, ზრდა - განვითარებისათვის საჭიროებს დიდძალ საკვებ ნივთიერებას. იგი აღარიბებს ნიადაგს და ამიტომ განსაკუთრებით საჭიროებს სასუქს.

საცდელ სადგურების მიერ ჩატარებული ცდებით ხონის აბაშის და სენაკის რაიონებში გამოირკვა, რომ რამის მოსავალს თვალსაჩინოდ ზრდის (ზოგიერთ შემთხვევაში 150-192 პროცენტითაც) სრული სასუქი, რომელშიაც არის აზოტი, ფოსფორი და კალიუმი.

საქართველოს ნიადაგმცოდნეობის და სასუქმცოდნეობის ცენტრალურმა საცდელმა სადგურმა ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მახლობლად ქვენაცროვან ნიადაგებზე (მცენარეთა საკვების მხრივ ღარიბი მწირი ნიადაგია) 1930 წელს ჩაატარა ცდები და გამოირკვა, რომ იმ ნაკვეთიდან, სადაც შეტანილი იყო სრული სასუქი (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი), 42,5 ცენტნერი მშრალი ღერო მიიღეს ჰექტარიდან, ხოლო იქ, სადაც სასუქი არ იყო შეტანილი, მიიღეს 5 6 ცენტნერი. სასუქის ასეთი უდიდესი მნიშვნელობა რამის მაღალი მოსავლის მისაღებად თითქმის არც ერთ რაიონში არ აქვთ შეგნებული.

საბჭოთა მეურნეობებმა და ერთპიროვნულმა მეურნეობებმა წელს რამის ძველსა და ახალ პლანტაციებში უნდა შეიტანონ სულ 220 ტონა სულფატამონიუმი და 307 ტონა სუპერფოსფატი ძველ პლანტაციებში სასუქის შეტანა 15 აპრილისათვის უნდა დამთავრებულიყო. ამ რიცხვისათვის არც ერთ რაიონს და საბჭოთა მეურნეობას დავალება არ ჰქონდა შესრულებული. (ახლად დარგულ პლანტაციებში მინერალური სასუქი შეტანილი უნდა იქნას 10 მაისიდან 31 ივნისამდე).

რამის მოსავლიანობის აწევისათვის თვალსაჩინო ღონისძიებას წარმოადგენს ქარსაცავის გაშენებისა და პლანტაციების შემოღობვის საკითხი. ძველი პლანტაციები ზოგან (ქუთაისი, ხონი, სამტრედია.) არ არის სათანადოდ დაცული ქარებისაგან. წელს, როცა სახელმწიფოს უნდა ჩავაბაროთ 1.500 ტონა ნედლი ღერო და თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 6 ტონაზე არა ნაკლები ნედლი ღერო, საჭიროა საკავშირო ტრესტმა, „საქრამიმ" და ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა გადაუდებელ ამოცანად დაისახონ ქარსაცავების მოწესრიგება.

მეტად საჭირბოროტო საკითხია რამის პლანტაციების შემოღობვა. წელს ყოველ მიზეზს გარეშე უნდა მივაღწიოთ იმას, რომ **რამის არც ერთი ბუჩქი არ იქნას დაზიანებული პირუტყვისაგან.**

რამის უხვი მოსავლის მიღების ამოცანა მარტო ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებით არ ამოიწურება. ერთერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად ითვლება ბრძოლა სარეველა ბალახებთან და პლანტაციების დამუშავება აგრომინიმუმით გათვალისწინებულ ვადებში. სარეველას მოსასპობად ყველა რაიონმა უნდა გაამახვილოს ყურადღება. კოლხიდის დაბლობებში ახლად ათვისებულ ნიადაგებზე, სადაც ასეული წლობით ბატონობდა მრავალწლოვანი სარეველები, უფრო დაძაბული მუშაობის ჩატარებაა საჭირო.

წელს ოთხჯერ ტარდება რამის პლანტაციების კულტივაცია - გათოხნა. უფრო დანაგვიანებულ ადგილებში კი 5-ჯერ. ეს სამუშაოები მოახლოვდა. პირველი კულტივაცია-გათოხნა უნდა ჩატარდეს 1-20 მაისამდე. თუ კულტივაციას ვადაზე ჩავატარებთ, მაშინ მას შევუფარდებთ სარეველა მცენარეების ვეგეტაციას (ზრდა განვითარება). ეს კი აუცილებელია. ზოგი სარეველა ადრე თესლიანდება, ზოგი გვიან. სარეველას თესლის საშუალება არ უნდა მივცეთ, მომწიფდეს და ნიადაგში ჩაცვივდეს. აგრონომებმა ახლავე უნდა გამოარკვიონ რა სახის სარეველებია ადგილობრივ გავრცელებული და დაწვრილებით შეისწავლონ თვითეული ნაკვეთის დანაგვიანება.

რამის უხვი მოსავლისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის დიდ სტიმულს იძლევა საქსახკომსაბჭოს დადგენილება: „1935 წლის რამის კონტრაქტაციის გეგმის. რამის პლანტაციების და სანერგეების გაშენების ღონისძიებათა შესახებ კოლმეურნეობებში". რომელიც „კომუნისტის" 11 მარტის ნომერში გამოქვეყნდა. ახალი საკონტრაქტაციო პირობების მიხედვით კოლმეურნეობებს ჰექტარზე ეძლევათ 4.500 მან. გრძელვადიანი კრედიტი დარგვის პირველ წელიწადს თვითეულ ჰექტარზე გაიცემა 2 500 მანეთი, მეორე წელიწადს—1.500 მანეთი, და მესამეს—500 მან., ამ თანხის ნაწილი კოლმეურნეობებს **მიეცათ მარტში კონტრაქტაციაზე ხელისმოწერისთანავე.**

პურით დასაქონლების გაუქმებასთან დაკავშირებით საგრძნობლად გადიდებულია რამის ნედლი ღეროს დასამზადებელი ფასები. ერთი ტონა ნედლი ღერო წელს ღირს 190 მანეთი, გასული წლის 25 მანეთის ნაცვლად.

წელს კოლმეურნეობებში პირველად ეწყობა რამის სანერგე 15 ჰექტარზე მთელი ეს მუშაობა იმნაირად უნდა გაჩაღდეს, რომ 1936 წლის გაზაფხულზე დამზადდეს 15 მილიონი ცალი ნერგი მომავალ წელს ახლად გასაშენებელ პლანტაციების უზრუნველსაყოფად.

ახლა მთელი სიგრძე-სიგანით დგას საკითხი რამის აგროტექნიკურად მომსახურების გაუმჯობესებაზე. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ აგრო - მომსახურებას კოლმეურნეობებში მტს-ებისა და მიწგანების მიერ არ ექცევათ ჯეროვანი ყურადღება სწორედ ამის შედეგია ის, რომ ადგილებზე დღემდე არ შეუსრულებიათ საქმიწსახკომის დადგენილება მტს-ში ან რაიმიწგანში რამის სპეციალისტი აგრონომის დანიშვნის შესახებ. ამ გარემოებას თუ დავუმატებთ იმას, რომ რამის პლანტაციების რემონტი, ნიადაგის მომზადება, სამელიორაციო სამუშაოები სუსტად მიმდინარეობს ნათელი გახდება, რომ ყველა პირობა ჯერაც არ არის გამოყენებული რამის უხვი მოსავლის მისაღებად.

„საქრამის" და დასავლეთ საქართველოს რაიონული ორგანიზაციების წინაშე დგას ამოცანა **მთლიანად დაეუფლონ რამის რთულ აგროტექნიკას**. ამაში დიდ როლს ითამაშებს სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი წესდება, რომლის საბოლოოდ მიღება ახლა წარმოებს, და საქსახკომსაბჭოს დადგენილება რამის კონტრაქტაციის შესახებ. ამ მეტად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში მოცემულია საჭირო ღონისძიებანი, რომლის გატარებაც საშუალებას მოგვცემს ნამდვილად **საქმით** მიაღწიოთ რამის უხვ მოსავალს.

კომუნალური მშენებლობა ერევანში

ერევნის კომუნალური — მშენებლობისათვის წელს გათვალისწინებულია 2.910 ათასი მანეთი. აღნიშნული თანხიდან 450 ათასი მანეთი გადაიდება ქალაქის აბანოს მშენებლობის დასამთავრებლად და მისი გამტარუნარიანობა დღეში მიაღწევს 4.500 კაცს.

ფართოვდება წყალსადენის ქსელი. ქალაქის კანალიზაციის კოლექტორების ასაგებად და წყალსადენის გასაფართოებლად გადადებულია 870 ათასი მანეთი.

დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ქალაქის საგზაო მშენებლობას. ამასთან დაკავშირებით ერევანში შენდება ასფალტ-ბეტონის ქარხანა.

გამწვანების ტრესტს კიროვის სახელობის პარკში გაყავს წყალსადენი და აწყობს ბავშვთა აუზს, ამწვანებს გ. გუკასიანის და პუშკინის სახელობის ბაღს.

კანაკირჰესის ელდენზე ქალაქის გადასვლასთან დაკავშირებით შენდება ცენტრალური შემაერთებელი პუნქტი, უმჯობესდება ელექტროქსელი, რისთვისაც გადადებულია 250 ათასი მანეთი.

ყველაზე დიდი თანხა 1.100 ათასი მანეთი გადადებულია საბინაო მშენებლობისათვის.

საბინაო ფონდის და სახლთა სამმართველოსათვის შეერთებული წყალსადენის ქსელის და კანალიზაციის შეკეთებისათვის დამატებით გადადებულია 500 ათასი მანეთი. გარდა ამისა, საკავშირო ბიუჯეტით 1 მილიონი მანეთი გადადებულია სპეციალისტების სახლის მშენებლობის დასამთავრებლად.

გამოყოფილია აგრეთვე საჭირო სახსრები ძლიერ გადამდებ სნეულებათა საავადმყოფოს მშენებლობისათვის, ერევნის სოფმრეწვის კომბინატის და ბისკვიტის ფაბრიკების მშენებლობის დასამთავრებლად და საშენი მასალების ტრესტის საწარმოების გასათართოებლად.

—o—

საპირველმაისო მასობრივი ექსკურსიები

საქართველოს პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოება შეუდგა ტფილისის მშრომელთა მასობრივი ექსკურსიების ორგანიზაციას პირველი მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით. წარმოება-დაწესებულებისაგან საზოგადოება ღებულობს განაცხადებს ბათომში, ერევანში, ბაქოში, ქუთაისსა და ორჯონიკიძეში სამდღიანი გამგზავრებისათვის.

2 მაისს ტურისტული საზოგადოება სამაისო გამგზავრებას აწყობს მცხეთაში.

მიღებულია ყველა ღონისძიება, რომ ეს გამგზავრება რიგიანად მოეწყოს და საინტერესო იქნეს მშრომელთა კულტურული მომსახურეობის თვალსაზრისით. სპეციალური მატარებლები ტფილისიდან მცხეთაში და იქიდან უკანვე წამოიყვანენ მაისობის მონაწილეებს. მცხეთიდან მოეწყობა მთელი რიგი მახლობელი ექსკურსიები კარსანში, არმაზსა და თვით მცხეთაში კვალიფიციური ჯგუფმეთაურების ხელმძღვანელობით. მოეწყობა პატარა გადარბენა 10 ბაიდარკით მტკვარზე ძეგვიდან მცხეთამდე.

ესტრადებზე გამოვლენ მსახიობები, დამკვრელები, მოეწყობა აგრეთვე თვითშემოქმედთა გამოსვლები მაისობის მონაწილეთაგან.

სამაისო ბაზრობის წინ

საქვაჭრობა ემზადება ვაჭრობისათვის

სამაისო ბაზრობისათვის მზადებას საქვაჭრობა 8 აპრილს შეუდგა. საქვაჭრობის ტფილისის ქსელიდან ბაზრობაში მონაწილეობას მიიღებს 22 მაღაზია, რომელთაც გამოჰყავს ორი მილიონი მანეთის საქონელი (ფართალი, ტრიკოტაჟი, შეკერილი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, გალანტერეა, ჭურჭელი, ავეჯი, კულტსაქონელი და სხვ.)

ბაზრობისათვის საქვაჭრობას მიღებული აქვს დეფიციტური საქონელი, როგორც მაგალითად მუშამბა „კლიონკა“, ქოლგები, თეთრეული, ემალის ჭურჭელი და სხვ.

მაღაზიებს უკვე მიცემული აქვთ გეგმები საქონლის აღნიშვნით. 17 აპრილს მაღაზიების მუშაკთა თათბირმა შეიმუშავა დამკვრელთა, პიონერთა, ბავშვთა, საჩუქრების კომპლექტები.

მაღაზიების მხატვრული გაფორმების სახელმძღვანელოდ გამოყოფილია კომისია, რომელშიაც მიწვეულნი არიან ცნობილი მხატვრები და დეკორატორები.

მაღაზიებს შორის გამოცხადებულია სოცშეჯიბრება ბაზრობის უკეთ მომსახურებისა და გეგმების უკეთ შესრულებაში.

მაღაზია № 2 (კომინტერნის ქ. გამგე ამხ. ჩალაკვაძე), რომელმაც შარშან ბაზრობაში ერთერთი პირველი ადგილთაგანი იჭირა, წელსაც ენერგიულად ემზადება. ბაზრობასთან დაკავშირებით მას მიღებული აქვს 080 ათასი მანეთის საქონელი. გარდა ამისა მომარაგებული აქვს დაახლოებით 800 ათასი მანეთის სასეზონო საქონელი. აქ მოწყობილი იქნება კუთხეები დამკვრელთათვის, ბავშთათვის, პიონერთათვის და სხვ..

—o—

უმაღლეს სასწავლებლებში

მისაღები გამოცდები

საქართველოს განსახკომის 10 აპრილის ბრძანებით განსახკომის სისტემაში შემავალ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე დაიშვება ყველა ის პირი, ვისაც დამთავრებული აქვს სპეციალური ტექნიკუმი და 7 წლედის ბაზაზე აგებული საქარხნო-საფაბრიკო სკოლები, შესრულებული აქვს ავალდებულო მუშაობის ორწლიანი სტაჟი და სათანადო უწყება — დაწესებულებების მიერ განთავისუფლებულია. გამოცდებზე დაიშვებიან აგრეთვე ისინი, ვისაც დამთავრებული აქვს მუშფაკები, სრული საშუალო სკოლები და მათთან გათანაბრებული სასწავლებლები.

მისაღები გამოცდები დაწესებულია შემდეგ საგნებში: **მშობლიური ენა და ლიტერატურა, მათემატიკა** (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია), წერა და ზეპირი, ფიზიკა, ქიმია, ისტორია (სამოქალაქო და საქ. კ. პ. (ბ)).

სახელმწიფო კონსერვატორიასა და სამხატვრო აკადემიაში, გარდა ზემო აღნიშნული საგნებისა, გამოცდები ჩატარდება სპეციალურ საგნებშიც. ყველა საგანში გამოცდები იწარმოებს განსახკომის მიერ დამტკიცებული პროგრამებით.

სასამართლო

მძარცველთა დახვრეტა.

გასულ წლის ზაფხულს, ტფილისში ბანდიტები ხშირად ღია ფანჯრებში იპარებოდენ და ძარცვავდენ ბინებს. წინააღმდეგობის შემთხვევაში ისინი ხოცავდენ ბინადრებს და ნაძარცვით იმალებოდენ. ამნაირად ორი თვის განმავლობაში მათ გაძარცვეს 34 ბინა, მოჰკლეს 6 და დასჭრეს 20 მოქალაქე.

14 აგვისტოს ამ ბანდის მონაწილენი ქუჩიდან ხეზე ასვლით გადავიდენ სახ. საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ხომერიკის ბინაში და მოჰკლეს იგი. მათვე მოჰკლეს 19 აგვისტოს მილიციის თანამშრომელი სამადაძე. 23 აგვისტოს თავს დაესხნენ მოქ. აკაკი ახვლედიანის ბინას, რომელსაც ორჯერ ესროლეს რევოლვერი. მოჰკლეს აგრეთვე ტ. მერკულოვას ქალი, რომელმაც ქურდები შეამჩნია მეზობელ ჩოკოევის ბინაში. 28 სექტემბერს მეკოთნეთა შესახვევში მოჰკლეს მეეზოვე ოჰანეზოვი, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია მეზობელ სახლის გაქურდვისას. გაქურდეს მოქ. ორჯონიკიძის ბინა (საიდანაც წაიღეს 25 ათასი მანეთის ნივთები) ეზრაშვილის, სარქისოვის და სხვა ბინები.

სისხლის სამართლის მილიციამ მალე გამოარკვია, რომ აღნიშნულ ბანდას ხელმძღვანელობდა ვალოვი, რომელიც თავს იფარავდა ლოტკის გორაზე. 22 ოქტომბერს აღნიშნული პირი მისი ცოლი ანნა ჟუკოვა მილიციამ დააპატიმრა. დააპატიმრეს აგრეთვე ბანდის სხვა წევრები: ჯიოევი, ბიკოვი, სავჩენკო, ქიარიმოვი, ხმალაძე და ჩუმაჩენკო. ორი უკანასკნელი აღმოაჩინეს მოქ. ხუროშვილის ბინაზე.

კვლევა-ძიების დამთავრების შემდეგ ბოროტმოქმედნი 12 კაცის შემადგენლობით გაასამართლა უზენაეს სასამართლოს სპეც. კოლეგიამ. ბოროტმოქმედმა ვალოვმა თავი დამნაშავედ სცნო წაყენებულ ბრალდებაში და განაცხადა: 13 წლის ვიყავი. როდესაც სხვადასხვა ქალაქში „საგასტროლოდ“ სიარული დავიწყე, შემდეგ ვესტუმრე ტფილისსაც, აქ დავუკავშირდი ქურდების ბრბოს და მოკლე ხანში მთელი ბანდა შევადგინეო.

ბოროტმოქმედ ვალოვს, ჩუმაჩენკოს და ბიკოვს, როგორც ბანდის უშუალო ხელმძღვანელთ, მიესაჯა უმაღლესი სასჯელი —**დახვრეტა**. სავჩენკოს და ქიარიმოვს ათ-ათი წლით, ხოლო მცირეწლოვანთ სასჯელი გაუნახევრდათ და ჩაეთვალათ წინასწარი პატიმრობა. ჯიოევს და ჟუკოვს ათ-ათი წელი, სასჯელი შეუმცირდათ ერთი მესამედით. ქარუმიძეს და დობროვს რვა წელი თვითეულს, მაკარენკოს ხუთი წელი, ხუროშვილს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა იძულებითი მუშაობით. ფეოდოროვის და ხმალაძის საქმე სასამართლომ ცალკე გამოყო.

ვალოვის, ჩუმაჩენკოს და ბიკოვის მიმართ სასამართლოს განაჩენი დაადასტურა უზენაესმა ორგანოებმა, განაჩენი უკვე მოყვანილია სისრულეში.

სასამართლოს თავმჯდომარეობდა ამხ. თათუზოვი, წევრები იყვნენ: ა. უბილავა, მ. მონტინი, ბრალმდებლად იყო ამხ. დევდარიანი.

ს. ჩ—ლი.

საქართველო

✪ **ჩოხატაურის** რაიონში წელს უნდა დამზადდეს 118.400 კილო აბრეშუმის პარკი. რააბრეშუმმა, რომელიც გასულ წელს ნაყოფიერი მუშაობისათვის დააჯილდოვეს 4.800 მანეთით, წელს 15 მარტისათვის დაამთავრა აბრეშუმის პარკის კონტრაქტაცია.

✪ **სიღნაღის** რაიონიდან 1 მაისს დაიწყება ცხვრის გარეკვა საზაფხულო იალაღებზე. უკვე მიმდინარეობს გზის გაწმენდა და ცხვრის დასასვენებელი ფართობების მოწყობა.

✪ **ტყიბულში** დაიწყო კინო-თეატრის აგება. მშენებლობაზე დაიხარჯება 90 ათასი მანეთი.

✪ **სოხუმის** ქალაქის საბჭო 15 აპრილიდან შეუდგა ქალაქში ციტრუსების დარგვას. ამ მიზნით დამზადებულია 5.000 ძირი მანდარინის და 1.000 ძირი ლიმონის ნერგი.

✪ **ბათომის** ხის გადამმუშავებელ ქარხნის საამქროებში მოეწყო სამხატვრო ლიტერატურის კოლექტიური კითხვა.

ტფილისის [illegible]

ახალი სამეცნიერო დაწესებულება

ზოობიოლოგიური სადგურის შენობა ტფილისის ზოოპარკში. კუთხეში — პროფ. ნ. კოლცოვი, რომლის ხელმძღვანელობითაც იმუშავებს აღნიშნული სადგური.

განათლების სახალხო კომისარიატის ინიციატივით, ტფილისის ზოოპარკთან დაარსდა და 20 აპრილიდან მუშაობას იწყებს ახალი სამეცნიერო დაწესებულება — ტფილისის ზოო-ბიოლოგიური სადგური. სადგურის დანიშნულებაა შეისწავლოს ცხოველების წარმოშობის, მათი განვითარების, ჰიბრიდიზაციის და სხვა პრობლემები.

ზოო-ბიოლოგიურ სადგურს დასახული აქვს როგორც პრაქტიკული, გამოყენებითი ხასიათის მიზნები, ისე წმინდა მეცნიერულ-თეორიული ხასიათის ამოცანები. აქ შეისწავლიან, მაგალითად, სახორცე ცხოველების განვითარების საკითხს, ხორცის გამოსავლიანობის გადიდების, მისი ხარისხის გაუმჯობესების, მატყლის ხარისხის გაუმჯობესების და სხ. საკითხებს.

ამავე დროს სადგურის ამოცანა იქნება შეისწავლოს ზოგიერთ ცხოველთა წარმოშობისა და განვითარების საკითხები.

სადგურთან ჯერ-ჯერობით ჩამოყალიბებულია ოთხი განყოფილება —გენეტიკური (ცხოველთა წარმოშობის), ფაუნისტიკის (მათი ცხოვრების), ფიზიოლოგიის და ციტოლოგიის (ცხოველთა უჯრედების შემსწავლელი) განყოფილებები.

ზოო-ბიოლოგიური სადგურის მუშაობაში ჩაბმული იქნებიან ტფილისისა და მოსკოვის გამოჩენილი მეცნიერები — ზოოლოგები, ბიოლოგები, ფიზიოლოგები. მთავარ კონსულტანტად მოწვეულია მოსკოვის ექსპერიმენტალური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ნ. კოლცოვი.

18 აპრილს საღამოს შესდგა სადგურის ოფიციალური გახსნა. გახსნის შემდეგ პროფ. ნ. კოლცოვის თავმჯდომარეობით გაიმართა ტფილისის ზოო-ბიოლოგიური სადგურის სამეცნიერო მუშაკთა საწარმოო თათბირი, რომელზედაც განიხილეს და მიიღეს სადგურის სხვადასხვა განყოფილებების სამუშაო პროგრამები მიმდინარე წლისათვის.

აჭარისტანის პედტექნიკუმში ასწავლიან ჩონგურზე დაკვრას.

ქრონიკა

○ **ტფილისის ზოოპარკი** გასაფართოებლად და მხეცების მისათავსებელი ახალი ბინების მოსაწყობად 100.000 მანეთის დახარჯვაა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მიმდინარე წლისათვის.

✪ **ტრამვაის ფართო** ლიანდაგის გაყვანა ჩელუსკინელების ქუჩაზე, პლეხანოვის პროსპექტიდან ზოოპარკამდე დამთავრებულია. ამ დღეებში დაიწყება ფართოლიანდაგიანი ხაზის გაყვანა ლენინის ქუჩაზე.

✪ **საფეიქრო მრეწველობის** სამმართველომ აღძრა საკითხი მატყლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ტფილისში ახალი საკვლევი ლაბორატორიის დაარსების შესახებ.

✪ **ტფილისის აეროკლუბი** აპრილის ბოლო რიცხვებში აწყობს საავიაციო გადაფრენას დასავლეთ საქართველოში.

✪ **მაისში დაიწყება** ახალი საპარაშუტო კოშკის აგება კომუნარების ბაღში. კოშკის მოწყობა ერთ თვეში უნდა დამთავრდეს.

დოღი

სეზონის მესამე დღე

18 აპრილს ჩატარდა ექვსი შემოვლა.

ამ დღეს დემონსტრირებული იყო ორი საჩვენებელი ჯილდოს (400 მან.) გათამაშება 500 მეტრის დისტანციაზე. გამარჯვებული გამოვიდენ „გუნიბი“ (დაღესტანის მეცხენეობის მეურნეობა) „იალქანი“ და „გოლიათი“ (საქ. მეცხენეობის სამმართველო). პირველი ორი ტოლად მივიდენ ფინიშთან და მანძილი 34 წამში დაფარეს. „გოლიათმა“ გამოიჩინა მეტი სისწრაფე: დისტანცია 31 წამში გაირბინა.

1600 მეტრის მანძილზე ჩატარდა სამი შემოვლა. ერთი, სადა, მოხალისე მხედართათვის და ორი ჯიშიან, 3 წლიან ცხენებისათვის. სადა დოღში მეტი სისწრაფე გამოიჩინა ა.-კ. ფეხოსანთა სკოლის „დონგუზმა“ (მხედარი **ძიძიგური**). დანარჩენ ორში კი გაიმარჯვეს „გაიანემ“ (სომხეთის მეცხენეობის მეურნეობა „ძაკი“) და დოხამ“ (ყუბანის მეცხენეობის მეურნეობა „ვოსხოდი“). „გაიანემ“ მანძილი გაირბინა 1 წუთსა და 57 წამში, „დოხამ! — 1 წუთსა და 48 ნახ. წამში.

2.000 მეტრის დისტანციაზე გათამაშდა ყულარის მეცხენეობის მეურნეობის სახელობის ჯილდო (500 მან.). მონაწილეობა მიიღეს: „ბარსმა“ (სომხეთი), „გივიმ“ (საქართველო), „ჰიგიენამ“ („ვოსხოდი“) და „ლახტმა“ (საქართველო).

გამარჯვება წილად ხვდა „ჰიგიენას“, რომელმაც მანძილი 2 წუთსა და 18 ნახ. წამში გაირბინა.

18 აპრილს გამართულ შეჯიბრებებში მხედრის საუკეთესო თვისებები გამოამჟღავნა ბავშვმა მხედარმა **ბ. პონომარენკომ,** რომელსაც მიჰყავდა „იგივა“ (მეხუთე შემოვლაში) და „დოხა“ მეექვსეში. ორივე შემთხვევაში ის იშვიათი გამჭრიახობით იყენებდა შექმნილ მომენტებს და სრულიად თავისუფლად მიდიოდა ფინიშთან. ამ დღეს ამ ბავშვის ვირტუოზობა იქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას. წვრთნის შემდეგში განვითარებით პონომარენკო მაღალი კლასის მხედარი დადგება.

შემდეგი დოღი გაიმართება 24 აპრილს.

ა. კ.

—o—

შემთხვევები

○ **აფეთქება.** აბპატის ქუჩაზე, სახლი № 4, მოქ. მიხეილ კერსლიდის ბინაზე გამოურკვეველი მიზეზით მოხდა აფეთქება, რომლის დროს მოკვდა მოქ. კერსლიდი, დაიჭრა მისი ცოლი და ორი ბავშვი. აფეთქების მიზეზს არკვევენ. წარმოებს გამოძიება.

○ **გაუფრთხილებელი ხვლა.** საქ. სამხედრო გზაზე ავტომანქანა № 13—71; რომელსაც მართავდა შოფერი ბეჟანოვი, დაეჯახა მოქ. ოგანეზოვს (მცხოვრები საბურთალოზე) და მძიმედ დააშავა. დაშავებული მოთავსებულია საავადმყოფოში.

კიროვის ქუჩის და ა.-კ. ფედერაციის მოედნის კუთხეში ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი საბიაშვილი, დაეჯახა მოქ. როზა ზახარიანს (სანაპიროს ქ. 3) და დააშავა.

ფიზკულტურა და სპორტი

ფეხბურთი

ლენინგრადი — „დინამო“ 2:1.

უკანასკნელ შეჯიბრებაში ლენინგრადის ქარხნის „კრასნაია ზარიას“ ფეხბურთელებთან, რომელიც 18 აპრილს შესდგა, ტფილისის მხრიდან თამაშობდა „დინამოს“ ნაკრები გუნდი.

„დინამო“ ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია ქალაქში, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ეს შეჯიბრებაც, როგორც წინა შეჯიბრება ლენინგრადელებთან, ტფილისის გამარჯვებით დამთავრდებოდა. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. „დინამომ“ ძალიან სუსტად ჩაატარა თამაში და შეჯიბრება წააგო 1:2.

★

ამჟამად ტფილისში იმყოფება ხარკოვის მექანიკური ქარხნის ფეხბურთელთა გუნდი, რომელსაც 17 აპრილს პირველი შეჯიბრება ჰქონდა ცეკავშირის გუნდთან. თამაში დამთავრდა ცეკავშირელების გამარჯვებით 3:2.

დღეს, 20 აპრილს, ხარკოველები ჩაატარებენ უკანასკნელ შეჯიბრებას. ტფილისის მხრიდან თამაშობს ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდი.

—o—

ჭადრაკი

ტფილისის ჩემპიონატი

მეშვიდე ტური

მეშვიდე ტურში რთულ და საინტერესო თამაშის შემდეგ კანკავამ მოუგო მალუნცევს, ებრალიძემ—შიშოვს სერედამ — ფალავანდიშვილს. საყაიმო მდგომარეობაში, აბრამიანმა შესწირა კასპარიანს პაიკი, სამაგიეროდ ვერაფერი მიიღო და დამარცხდა. ვეიზერმა მოუგო ტალვიკს ფირცხალავა—გამბარაშვილის პარტია ყაიმით დასრულდა.

მერვე ტური

ამ დღეს ტალვიკმა განიცადა მესამე დამარცხება (ზედიზედ) აბრამიანთან, მალუნცევმა მოუგო სერედას, ფირცხალავა—კანკავას პარტია ყაიმით დასრულდა. კასპარიან—ფალავანდიშვილის პარტია გადაიდო თანასწორ მდგომარეობაში. გამბარაშვილი—ებრალიძის პარტია არგათამაშებულა.

გადადებულ პარტიებში აბრამიანმა მოუგო მალუნცევს. ვეიზერმა—ფირცხალავას.

მერვე ტურის შემდეგ წინ არიან: კანკავა+6 აბრამიანი+5½, ებრალიძე+5 (1 გად.).

დღეს, საღამოს 6 საათიდან გათამაშდება მორიგი მეცხრე ტური. ითამაშებენ: კანკავა—ებრალიძე, მალუნცევი—ფალავანდიშვილი, გამბარაშვილი—ვეიზერი, სერედა—ფირცხალავა, შიშოვი—აბრამიანი და ტალვიკი—კასპარიანი.

ვ. გოგლიძის შეხვედრა ტფილისის სკოლების მოწაფეებთან

ტფილისის მე-42 შრომის სკოლის ინიციატივით, 18 აპრილს მოეწყო ა.-კ. ჩემპიონის ვ. გოგლიძის შეხვედრა ტფილისის შრომის სკოლების მოწაფეებთან. მოეწყო ერთდროულად 24 დაფაზე თამაშის სეანსი. თამაშში მონაწილეობა მიიღეს: მე-43, 44, 47, 42 და 101 სკოლების მოწაფეებმა.

სეანსი დამთავრდა ასეთი შედეგით: მე-42 სკოლის ორმა მოწაფემ გამრეკელმა და ვანციანმა მოუგო, ჩემპიონს, მე-43, 47 და 101 სკოლების სამმა მოწაფემ თამაში ყაიმით დაამთავრა. დანარჩენებმა კი წააგეს.

—o—

პარტკალენდარი

ს.კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის პარტ.კ-ში დღეს, 20 აპრ. საღ. 7 საათზე შესდგება ამხ. ბრ. **მუშიშვილის** მასობრივი კონსულტაცია **საქართველოს და აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკების ლენინის ორდენით დაჯილდოვების შესახებ.** პროპაგანდისტების დასწრება სავალდებულოა.

მეცნიერება და ტექნიკა

პროფ. კლოდის ცდები უშედეგოდ დამთავრდა

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, წარსული წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში დიუნკირხენიდან ბრაზილიისაკენ გავიდა გემი „ტუნისი“, რომელიც ფრანგმა მეცნიერმა პროფ. ჟ. კლოდმა გადააკეთა ხელოვნური ყინულის ქარხანათ. ხელოვნური ყინული ამ ქარხანაში უნდა დამზადებულიყო ზღვის თბიერებითი ენერგიის (ეკვატორიალური ზღვების სხვადასხვა ფენების ტემპერატურათა სხვაობის) ხარჯზე.

გემი „ტუნისი“ კლოდისა და ბუშეროს დადგმულობით.

ამ მიმართულებით პროფ. ჟ. კლოდი უკვე მეოთხე წელია მუშაობს. სამი წლის განმავლობაში პროფ. კლოდი სათანადო ცდებს აწარმოებდა კუნძულ კუბის სანაპიროებთან, სადაც მას უნდა მოეწყო საცდელი ელექტროსადგური. პირველ წელს ეს ცდა უშედეგოთ დამთავრდა, რადგან ზღვის ფსკერამდე ჩასაყურავი გრძელი დიდ დიამეტრიანი მილი გასწყდა და ჩაიძირა. ასევე განმეორდა მეორე წელსაც. მხოლოდ მესამე წელს შესძლო კლოდმა თავისი ცდის ნაწილობრივ განხორციელება და შესაფერი ექსპერიმენტალური მასალის შეგროვება ზღვის ტემპერატურათა სხვაობის გამოსაყენებელ დადგმულობათა პროექტების შესადგენათ. ეს ექსპერიმენტალური მასალა იქნა გამოყენებული გემ „ტუნისის“ გადაკეთების დროს მცურავ ქარხნათ. ვინაიდან „კომუნისტში“ მოკლედ უკვე გვქონდა აღწერილი კლოდ-ბუშეროს დადგმულობის ძირითადი პრინციპები, ახლა მას აღარ განვიმეორებთ.

კლოდის ექსპედიციამ მსოფლიო ყურადღება მიიპყრო, მაგრამ, სამწუხაროდ, ექსპედიცია უშედეგოდ დამთავრდა.

18 მარტს საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიაში გაკეთებულ მოხსენებაში ჟ. კლოდმა აღიარა, რომ „ტუნისმა“ ვერ განახორციელა დასახული ცდები. ამის ძირითადი მიზეზი იგივეა, რაც იყო კლოდის პირველი ცდების დროს კუბის სანაპიროებთან: სიძნელე დაკავშირებული იმ მილის ჩაყურვასთან და გამაგრებასთან, რომლითაც ზღვის წყალი სიღრმიდან გადმოტანილი უნდა იქნას ზედაპირზე.

მაგრამ ეს გარემოება, როგორც კლოდმა განაცხადა, **სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ პრინციპი ზღვების თბიერებითი ენერგიის გამოყენებისა ელექტრო ან მექანიკური ენერგიის მისაღებად უნიადაგოა.**

აკადემიის სხდომის თავმჯდომარემ ფიზიკოსმა დაარსონვალმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ „ტუნისის“ ექსპედიცია, უშედეგოდ დამთავრების მიუხედავად, მაინც მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ტროპიკული ზღვების სითბოს პრაქტიკულად გამოყენების მიმართულებით. მან მოაგონა დამსწრეთ, რომ პროფ. კლოდმა უკვე დაამტკიცა პრაქტიკულად შესაძლებლობა ტურბინის მუშაობისა დაბალი ტემპერატურის და დაბალი წნევის წყლის ორთქლზე.

ი. წ.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1934-35 წ. სეზ. [illegible]

დღეს	21 აპრილს	22 აპრილს
11 აბონ. 13 წარ.	13 აბონ. 13 წარ.	9 აბონ. 13 წარ.
ევგენი ონეგინი	დირიჟორი პაულ დრეიზახის (ვენა) გასტროლი სიმფ. კონცერტი	ლაკმე

აბონენტები, რომელთაც არ გქონებათ შეტანილი თავიანთი აბონემენტის მე-11 შესატანი, თავიანთ წარმოდგენაზე არ დაიშვებიან და მათი ადგილები გაიყიდება.

დაიწყო უკანასკნელი მე-12 შესატანის მიღება. წარმ. დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

რუსთაველის თეატრი

დღეს	21 აპრილს	22 აპრილს
12 აბონ. 8 წარ.	13 აბ. 8 წარ.	14 აბონ. 8 წარ
რღვევა	რღვევა	ბანგაში

რუსთაველის თეატრში დამკვრელთა მუდმივი ადგილების შემძენ ა საყურადღებოთ ცხადდება, რომ თუ 20 აპრილამდე არ იქნება დაფარული მუდმივი ადგილების დავალიანება, კუთვნილი თანხა ალებული იქნება სასამართლოს წესით.

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8-ნახ. საათზე. სალარო ღიაა 11—2 6—9 საათამდე.

მარჯანიშვილის თეატრი

20 აპრილს აბონ. გარეშე	წარმოდგენა № 134	ვერაგობა და სიყვარული
21 აპრილს აბონ. № 14 მე-7 წარმ.	წარმოდგენა № 135	ვერაგობა და სიყვარული
22 აპრილს აბონ. № 10 მე-7 წარმ.	წარმოდგენა № 136	ოტელო

ბავშვები და მოზარდები 17 წლამდე არ დაიშვებიან. დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე. სალარო ღიაა 11—2 6—9 ს.

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30.	დიდებულის მე-2 კვირა მაქსიმეს ყრმობა
დამკვრელი 6, 7-30, 9, 10-30	სრულებით ახალი ეკრანული მხატვრული სურათი პოეტი და მეფე
ტემპი 6, 7-30, 9, 10-30	ახალი ეკრან. სურათი თავადის ქალი მერი
რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვ. საზღვარგარეთული ფილმი შიშ პარიზში
„26“-ის კომ. სახ. 7, 8-30, 10	მხატვრული ფილმი ბულატ ბატირი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა
გამოვიდა და იყიდება საქპარტგამომცემლობის წიგნის მაღაზიებში შემდეგი:

1. ვ. კნორინი—საქ. კ. პ. (ბ) მოკლე ისტორიით. ფასი ყდით 4 მან.
2. რ. ვაისბერგის, ე. კვირინგის და მ. საველიევის რედაქციით— სსრკ ეკონომიური პოლიტიკის ეტაპები—წიგნი 1-ლი, ფასი 4 მან.

დაკვეთა შეიძლება საქპარტგამომცემლობის წიგნის მაღაზიებში: რუსთაველის პრ. № 34, ან საქპარტგამომცემლობაში, ფურცელაძის ქ. № 7, მაღაზია № 4, ჟორესის ქ. № 22, მაღაზია № 5, ფურცელაძის მოედანი № 1. 6. 121

ქალ. ტფილისის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
დ. ა. ხვანიძე
ამით აცხადებს, რომ ის ა. წ. 22 აპრილს დილის 10 საათზე
საჯარო ვაჭრობით
გაჰყიდის ქალ. ტფილისში ავჭალის მოედანი № 10 სახლში მოთავსებულ არტელ „კომუნი“-ს შემდეგ ქონებას: შენობას, დაზგებს თავისი მოტორებით სკამებს, ცარგებს ავეჯის თეთრად დამზადებულ ნაწილებს, წიგნის შკაფებს, ხე-ტყის მასალას, ფანერას, საწერ მაგიდებს, კედლის საათს და სხვას შემდ მოსამსახურეთა ხელფასის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ლენრაიონის სახ. სასამართლოს მიერ გაცემულ აღმასრულებელ ფურცლებისა. აღწერილი ქონება შეფასებული 60.699 მან. 53 კაპ.
საჯარო ვაჭრობის დროს დაცული იქნება სამოქალაქო საპ. კოდ. სათანადო მუხლები.
7762 სასამართლოს აღმ. სრულებელი დ. ა. ხვანიძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. გამომცემლობის
ხელისმოწერის ბიურო
ხელისმომწერლების საყურადღებოთ აცხადებს, რომ გამოვიდა და ურიგდებათ ხელისმომწერლებს შემდეგი პარტლიტერატურა:

1. საქ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში.
2. სტალინი ნაციონალ. კოლონ. საკითხი.
3. ლენინის 6-ტომეულის მე 5 ტომი.
4. ლენინის სრული კრებულის მე 15 ტომი.

ტფილისის ხელისმომწერლებმა წიგნი უნდა მოიკითხონ ხელისმოწერის ბიუროში რუსთაველის პროსპ. № 34, დილის 10 საათ. შუადღის 4 საათამდე.
ნ. 122 ხელისმოწერის ბიურო.

თანახმად საქართველოს სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის 1935 წლ. 1 აპრილის № 1 დადგენილებისა,
ინვალიდთა კოოპერატიულ ყველა არტელების წესდებები უნდა გატარებულ იქნეს საქ. სოც. უზრ. სახ. კომისარიატში ხელ-ახალ
რეგისტრაციაში
არტელები, რომელნიც ა. წ. 1-ლ მაისამდე არ გაატარებენ ხელ-ახალ რეგისტრაციაში თავიანთ წესდებებს, გამოცხადებული იქნებიან სისტემის გარეშე ორგანიზაციათ და ხელმძღვანელები მიეცემიან პ/გებაში.
საქ. სოც. უზრ. სახ. კომისარ.
7610 საორგანიზაციო განყოფილება.

ვცვლი ორ ოთახიან ბინას 32 კვ. მეტრი, მოწყობილობით—სამზარეულო, სინათლე, ერევნის მოედანთან ახლო ერთ დიდ ოთახზე ვერაზე ან ვაკეში. იკითხეთ გაზ. „კომუნისტი“-ს კანტორა, განცხადების მიმღების გამგესთან.

„საქართველოს რძის“
საკავშირო ტრესტს ესაჭიროება საბჭოთა მეურნეობებისათვის ნორმადარები
ლენინის ქუჩა № 24. 7759

გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობას
(რუსთაველის პრ. № 34)
ესაჭიროება
მემანქანე-საქმის მწარმოებელი
(ქართულ-რუსული ენის მცოდნე)
თან უნდა ჰქონდეს უკანასკნელი სამსახურიდან განთავისუფლების საბუთი.

ი. ჭეიშვილი
სიფილისი. ვენერიული და კანის დაავად. იღებს დილის 8—9 საათზე, და საღამოს 6½—8½ საათ [illegible] ქუჩა № 72 [illegible]

ექიმი
ს. ვ. მუსხელიშვილი
თვალის სნეულებანი
ავადმყოფების იღებს 5—7 საათამდე
ყორღანოვის ქ. № [illegible]

კოლია და ანიკო ბასილაშვილები უღიდეს მწუხარებას გამოსთქვამენ საუკეთესო მეგობრის
დათიკო გიორგის-ძე ბოზონიძის
უდროოდ დაკარგვის გამო. დასაფლავება 21 აპრილს სოფ. დვაბზუში.

დამწუხრებულნი: მამა გიორგი, ბიძა ნიკოლოზი, რძალი მარუსა, ძმა ვახტანგი მეუღლით, ბებია, და თამარა იუწყებიან საყვარელ
ნინო ბუთხუზის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა დღეს 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ორჯონიკიძის ქ. № 67. 7758

დამწუხრებული მეუღლე ნინო შვილებით: ექ. ნადია, ვერა, ლიუბა, სიძე ექ. აივაზიშვილი ძმა ლადო მეუღლით იუწყებიან საყვარელ
ალექსანდრე ზაქარიას-ძე
ნაცვლიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. რუსთაველის შეს. № 5 (ლენრაიონი). 7754

დამწუხრებული მეუღლე გიორგი პანჩიკიძე, შვილები: გოგლი, როზა, კოწო, ვალოდია იუწყებიან
ანნა ამირიძე პანჩიკიძის
უდროოდ გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი ყოველ დღე 7 ს. დიდუბის ქ. № 6 დაკრძალვა 21 აპრილს 5 ნახ. ს. კუკიის სასაფლაოზე. 7764

ენუქიძის სახ. ინდუსტრიალური ტექნიკუმის მუშა-მოსამსახურეები, მასწავლებლები და მსმენელები იუწყებიან ტექნიკუმის პრაქტიკული მუშაობის ხელმძღვანელის ძველი მუშის
ალექსანდრე ზაქარიას-ძე
ნაცვლიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება რუსთაველის შეს. № 5 (ლენრაიონი) დაკრძალვა დღეს 5 ს. 7757

მატრონა, ნადია, ტატიანა, იოსები, გედეონი, გოგი და სოსიკო ქუთათელაძეები. თინა და ზურაბი ელიავები იუწყებიან ძვირფას სიძის
სოსო ბენდელიანის
გარდაცვალებას დაკრძალვა 20 აპრილს ქ. ბათომში.

უახლოესი მეგობრები: ფოკა, ანიჩკა ცქიტინიძეები შვილებით, ხუსეინ კირისილოღლი, მარგალიტა ჯორბენაძე, თამარა კვაჭაძე, ღრმა მწუხარებით იუწყებიან ანიჩკა ჭეიშვილის ძმის ახალგაზრდა ინჟინერ
გრიშა ჭეიშვილის
გარდაცვალებას. 7765

სამედიცინო ინსტიტუტის სამკ-პროფ. ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტობა იუწყება ამავე კურსის სტუდენტ ნიკოლოზ სხვიტარიძის შვილის
ოთარ ნიკოლოზის-ძე სხვიტარიძის
უდროოდ გარდაცვალებას. 7766

დამწუხრებული მაზლიშვილი ალექსანდრე, ცოლი მარიამი სოლოღაშვილი შვილებით: თამარი, ანტონი, ბურდუკა, ნათელა პანჩიკიძეები, სიძე ანატოლია სეხნიაშვილი და შვილიშვილი ვახტანგი იუწყებიან საყვარელ ზიცოლას
ანნა პანჩიკიძის
გარდაცვალებას. 7756

მშობლები: ლუკა, ნინუცა, ცოლი ოლია, შვილები: ლეილა, გოდერძი, ბიძა არჩილი ჭურღულიები, სიდედრი ეფროსინე, სიმამრი კოსტა, ცოლის და ნინა ბარბაქაძეები იუწყებიან ძვირფას
აქსენტი ლუკას-ძე ჭურღულიას
უდროოდ გარდაცვალებას. 7753

დედა ილიტე, ძმები: რაჟდენი, თეოფანე, რძლები: იულია, მარო, ძმისწულები: ნელი, ლეილა ჩიქოვანები მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარ
გრიგოლის (გრიშა)
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 21 აპრილს 4 ს. სოფ. ბაშ[illegible] 7752

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. № 34. ტელეფონები რედაქტორის 3—02—26, რედაქტორის მო ადგილის 3—68—08, პასუხისმგებელი მდივნის 3—06—88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სა მრეწველო განყოფილების 3—73—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის—3—51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68 მთავლიტის რწმუნებული ა—9496